

პათოლოგიის, თერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის  
აქტუალური პრობლემები

**АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ПАТОЛОГИИ, ТЕРАПИИ  
И МЕДИЦИНСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ**

**ACTUAL PROBLEMS OF PATHOLOGY, THERAPY  
AND MEDICAL REHABILITATION**

თბილისი 2014

Тбилиси 2014

Tbilisi 2014

პათოლოგიის, თერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის  
აქტუალური პრობლემები

სამეცნიერო სტატიების კრებული

**АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ПАТОЛОГИИ, ТЕРАПИИ  
И МЕДИЦИНСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ**

**СБОРНИК НАУЧНЫХ СТАТЕЙ**

**ACTUAL PROBLEMS OF PATHOLOGY, THERAPY  
AND MEDICAL REHABILITATION**

**COLLECTION OF SCIENTIFIC ARTICLES**

თბილისი-მოსკოვი: თბკ-რმ-ტმპ 2014

ТБИЛИСИ-МОСКВА: ТБК-РАМ-ТН 2014

TBILISI-MOSCOW: TBR-RAM-TS 2014

შპს (UDC) 616+616-003.93

პ-139

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ –  
ჯანმრთელობის და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული  
სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს კურორტოლოგთა საზოგადოება

პათოლოგიის, თერაპიისა და სამედიცინო რეაბილიტაციის  
ატლასური პროგრამები

საქართველოს და საქართველოსთან ახლო მდებარე  
სახელმწიფოების სამეცნიერო-პრაქტიკული დაწესებულებების  
თანამშრომელთა სამეცნიერო შრომათა კრებული

ექლვნება აკადემიკოს იორამ თარხან-მოურავის  
დაბადებიდან 70 წლისთავს

სამეცნიერო სტატიების კრებული რეფერირებულია  
„ტექნიფორმი“-ს ქართულ ელექტრონულ-ბეჭდვით რეფერატულ ჟურნალში

თბილისი-მოსკოვი: თბკ-რმ-ტმა 2014

ISBN 978-9941-0-6499-9

**УДК (UDC) 616+616-003.93**

**A-437**

**ТБИЛИССКИЙ БАЛЬНЕОЛОГИЧЕСКИЙ КУРОРТ „ТБИЛИСИ-SPA“ –  
НАЦИОНАЛЬНЫЙ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИЙ ЦЕНТР ЗДОРОВЬЯ И  
МЕДИЦИНСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ**

**АКАДЕМИЯ МЕДИКО-ТЕХНИЧЕСКИХ НАУК РОССИЙСКОЙ ФЕДЕРАЦИИ**

**ОБЩЕСТВО КУРОРТОЛОГОВ ГРУЗИИ**

**АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ПАТОЛОГИИ, ТЕРАПИИ  
И МЕДИЦИНСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ**

**СБОРНИК НАУЧНЫХ ТРУДОВ СОТРУДНИКОВ НАУЧНО-ПРАКТИЧЕСКИХ  
УЧРЕЖДЕНИЙ ГРУЗИИ И СОСЕДНИХ С ГРУЗИЕЙ СТРАН**

**Посвящается 70-летию со дня рождения  
академика Иорама Давидовича Тархан-Моурави**

Сборник научных статей реферирован в Грузинском  
электронно-печатном реферативном журнале „Техинформ“

**ТБИЛИСИ-МОСКВА: ТБК-РАМ-ТН 2014**

**ISBN 978-9941-0-6499-9**

**UDC 616+616-003.93**

**A-19**

**TBILISI BALNEOLOGICAL RESORT „TBILISI-SPA” – NATIONAL  
SCIENTIFIC AND PRACTICAL CENTRE FOR  
HEALTH AND MEDICAL REHABILITATION**

**ACADEMY OF MEDICAL AND TECHNICAL SCIENCES OF RUSSIAN FEDERATION**

**SOCIETY OF HEALTH RESORT MANAGING AND  
PHYSIOTHERAPEUTISTS OF GEORGIA**

**ACTUAL PROBLEMS OF PATHOLOGY, THERAPY  
AND MEDICAL REHABILITATION**

**COLLECTION OF SCIENTIFIC ARTICLES OF SCIENTIFIC AND  
PRACTICAL INSTITUTIONS COLLABORATORS OF GEORGIA  
AND NEIGHBORING COUNTRIES OF GEORGIA**

**Is Dedicated to the 70th anniversary of  
Academician Ioram D. Tarkhan-Mouravi**

Collection of scientific articles is referred in Georgian  
electronic-printing abstract journal of „Tekhinform”

**TBILISI-MOSCOW: TBR-RAMTS 2014**

**ISBN 978-9941-0-6499-9**

### **სარედაქციო კოლეგია:**

მარლენ ბოსტანჯიანი – რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, პროფესორი (მთავარი რედაქტორი);

ნიკოლოზ სააკაშვილი – ორგანიზაცია „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ – ჯანმრთელობისა და სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს გენერალური დირექტორი, რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი (მთავარი რედაქტორის მოადგილე);

მანანა ტაბიძე – რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (პასუხისმგებელი მდივანი).

### **რეცენზენტი:**

რუსეთის ფედერაციის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ავთანდილ კოჭლამაზაშვილი

### **Редакционная коллегия:**

Бостанджян Марлен Герасимович – Вице-президент Академии медико-технических наук Российской Федерации, профессор (главный редактор);

Саакашвили Николай Михайлович – Генеральный директор организации „Тбилисский бальнеологический курорт „Тбилиси-SPA“ – Национальный научно-практический центр здоровья и медицинской реабилитации“, академик Академии медико-технических наук Российской Федерации, профессор (заместитель главного редактора);

Табидзе Манана Шотаевна – академик Академии медико-технических наук Российской Федерации (ответственный секретарь).

### **Рецензент:**

академик Академии медико-технических наук Российской Федерации, доктор медицинских наук, профессор Автандил Иосифович Кочламазашвили.

### **Editorial Board:**

Marlen G. Bostanjian – Vice-president of Academy of Medical and Technical Sciences of Russian Federation, Professor (editor-in-chief);

Nikoloz M. Saakashvili – General director of the organization „Tbilisi Balneological Resort „Tbilisi-SPA“ – National Scientific and Practical Center for Health and Medical Rehabilitation“, Academician of Academy of Medical and Technical Sciences of Russian Federation, Professor (deputy editor-in-chief);

Manana Sh. Tabidze – Academician of Academy of Medical and Technical Sciences of Russian Federation (executive secretary).

### **Reviewer:**

Academician of Academy of Medical and Technical Sciences of Russian Federation, Doctor of Medical Sciences, Professor Avtandil I. Kochlamazashvili.

სამეცნიერო სტატიების კრებულში განხილულია პათოლოგიების ეპიდემიოლოგიის საკითხები, არაფარმაკოლოგიური და სხვა სამკურნალო საშუალებების ზეგავლენა ორგანიზმზე და ამ საშუალებების გამოყენება მედიცინაში

В сборнике научных статей рассмотрены вопросы эпидемиологии заболеваний, действия нефармакологических и других лечебных средств на организм и применение этих средств в медицине

The issues of epidemiology of pathologies and mechanisms of action of non-pharmacological and other medical means on the organism, the usage of these means in the medicine are discussed in this collection of scientific articles

## იორამ თარხან-მოურავი 70 წლისაა

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი იორამ თარხან-მოურავი დაიბადა 1943 წლის 17 სექტემბერს ქ. თბილისში.

1968 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტი და გაწვეული იყო საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ, 1970-1972 წლებში, მუშაობდა ქ. თბილისის მე-11-ე პოლიკლინიკის თერაპევტად.

1972 წლიდან მუშაობს საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში: უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი (1972-1979 წლები); სწავლული მდივანი (1979-1987 წლები), სპელეოთერაპიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი (1987-1991 წლები), სამედიცინო კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის დარგის ხელმძღვანელი (1991-1999 წლები), დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (1999-2000 წლები).



2000-2005 წლებში იყო საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის დირექტორი. ამავე დროს, 2003-2005 წლებში, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის კათედრის პროფესორია, 2005-2011 წლებში ორგანიზაცია „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი - საქართველოს კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის, რეაბილიტაციის და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში.

2012 წლიდან - ორგანიზაცია „თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ - ჯანმრთელობისა და სამკურნალო ტურიზმის ეროვნული სამეცნიერო - პრაქტიკული ცენტრი“-ს გენერალური დირექტორის მოადგილე, დირექტორი სამეცნიერო დარგში და ამ ორგანიზაციის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და სამკურნალო ტურიზმის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი.

1973 წელს იორამ თარხან-მოურავმა, პირველმა საბჭოთა კავშირში, ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების სამკურნალოდ კარსტული გამოქვაბულის მიკროჰავის გამოყენება დაიწყო.

მანვე, პირველმა მსოფლიოში დაადგინა კარსტული გამოქვაბულის მიკროჰავის სამკურნალო მოქმედება გულ-სისხლძარღვთა, ენდოკრინული და ნერვული სისტემების ზოგიერთი დაავადების დროს.

1979 წელს ი. თარხან-მოურავმა დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „ბრონქული ასთმის მქონე ავადმყოფთა სპელეოთერაპია კარსტული გამოქვაბულის „თეთრი მღვიმის“ პირობებში (წყალტუბოს რაიონში)“, ხოლო 1994 წელს - დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად - „ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების დროს კარსტული გამოქვაბულის მიკროჰავის გამოყენების კლინიკურ-ექსპერიმენტული დასაბუთება.“

ი. თარხან-მოურავი 2 გამოგონების ავტორია. ჯანმრთელობის დაცვის, სამეცნიერო-მოდერნიზაციის და რეაბილიტაციის დარგებში დიდი დამსახურებისთვის ი. თარხან-მოურავი დაჯილდოებული იყო „ღირსების მედლით“ და “ღირსების ორდენით” საქართველოში, რუსეთის ფედერაციაში - „ა. ჩიჟევსკის ოქროს მედლით“ და ამერიკის შეერთებულ შტატებში - „ღირსების ოქროს მედლით“.

ი. თარხან-მოურავი დიდ დროს უთმობს კვალიფიციური სამეცნიერო-პრაქტიკული კადრების აღზდას, უზიარებს თავის ცოდნას და გამოცდილებას სტუდენტებს, ორდინატორებს და სხვა დაწესებულებების ექიმებს. მისი ხელმძღვანელობით შესრულდა და წარმატებით იქნა დაცული 15 საკანდიდატო და 2 სადოქტორო დისერტაცია.

ი. თარხან-მოურავი მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის და სიმპოზიუმის ორგანიზატორი და მონაწილე იყო. აქვს 189 დაბეჭდილი სამეცნიერო შრომა, მათ შორის 5 მონოგრაფია და 6 სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისთვის. მისი სტატიები, მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები დაბეჭდილია არა მარტო საქართველოში, არამედ, აგრეთვე, ახლო და შორეულ საზღვარგარეთში (რუსეთის ფედერაციაში, სომხეთში, უკრაინაში, დიდ ბრიტანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, გერმანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, უნგრეთში და სხვ.)

ი. თარხან-მოურავი არის საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის სრული წევრი და ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; ასევე რუსეთის მედიკო-ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიის სრული წევრი და ამავე აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი; საქართველოს კურორტოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარე და სპელეოთერაპევტთა საერთაშორისო საზოგადოების პრეზიდენტის წევრი.

## ИОРАМУ ДАВИДОВИЧУ ТАРХАН-МОУРАВИ 70 ЛЕТ

Доктор медицинских наук, профессор Иорам Давидович Тархан-Моурави родился 17 сентября 1943 года в г. Тбилиси.

В 1968 году окончил лечебный факультет Тбилисского медицинского института и был призван в ряды Советской Армии. После демобилизации, в 1970-1972 годах работал терапевтом 11-ой поликлиники г. Тбилиси.

В 1972-1979 годах работал младшим научным сотрудником Научно-исследовательского института курортологии и физиотерапии Грузии, а в 1979-1987 годах – ученым секретарем этого же института.



В 1987-1991 годах И.Д. Тархан-Моурави был руководителем лаборатории спелеотерапии НИИ курортологии и физиотерапии Грузии, в 1991-2000 годах – руководителем отдела медицинской климатологии и климатотерапии этого же института. В 1999-2000 годах совмещал должность руководителя указанного отдела с должностью заместителя директора института по науке.

В 2000-2005 годах был директором Научно-практического центра курортологии, физиотерапии и лечебного туризма Грузии. Одновременно, в 2003-2005 годах, был избран профессором кафедры курортологии и физиотерапии Государственной медицинской Академии Грузии.

В 2005-2011 годах – заместитель генерального директора – директор по науке организации «Тбилисский бальнеологический курорт - Научно-практический центр курортологии, физиотерапии, реабилитации и лечебного туризма Грузии».

С 2012 года по сей день – заместитель генерального директора – директор по науке организации «Тбилисский бальнеологический курорт „Тбилиси-SPA”- Национальный научно-практический центр здоровья и медицинской реабилитации» и одновременно руководитель научно-исследовательской лаборатории курортологии, физиотерапии и лечебного туризма этой же организации.

В 1973 году, И.Д. Тархан-Моурави, впервые в СССР, стал использовать микроклимат карстовой пещеры для лечения больных хроническими неспецифическими заболеваниями легких. Впервые в мире он установил и лечебное действие микроклимата карстовой пещеры при ряде заболеваний сердечно-сосудистой, эндокринной и нервной систем.

В 1979 году И.Д. Тархан-Моурави успешно защитил диссертацию на соискание ученой степени кандидата медицинских наук по теме «Спелеотерапия больных бронхиальной астмой в условиях карстовой пещеры «Тетри Мгвиме» (в районе Цхалтубо), а в 1994 году - диссертацию на соискание ученой степени доктора медицинских наук по теме «Клинико-экспериментальное обоснование микроклимата карстовой пещеры при хронических неспецифических заболеваниях легких».

И.Д. Тархан-Моурави - автор двух изобретений. За большие заслуги в области здравоохранения, научной деятельности и реабилитации он был награжден в Грузии «Медалью чести» (1998 г.) и «Орденом чести» (2001 г.), в Российской Федерации - «Золотой медалью им. А. Чижевского», а в США – «Золотой медалью чести» (2010 г.).

И.Д. Тархан-Моурави проводит постоянную работу по подготовке высококвалифицированных научно-практических кадров, делится своим опытом и знаниями со студентами, ординаторами и врачами других учреждений. Под его руководством выполнены и успешно защищены 15 кандидатских и 2 докторские диссертации.

И.Д. Тархан-Моурави был организатором и участником многих международных научных конференций и симпозиумов. Он имеет 189 опубликованных научных трудов, из них 5 монографий и 6 руководств для студентов и врачей. Статьи, монографии и руководства, написанные им, напечатаны не только в Грузии, но и в ближнем и дальнем зарубежье (Российская федерация, Армения, Украина, Великобритания, США, Германия, Чехия, Словакия, Венгрия и т.д.).

И.Д. Тархан-Моурави является действительным членом Академии наук профилактической медицины Грузии и вице-президентом этой же Академии; действительным членом Академии медико-технических наук Российской Федерации и вице-президентом этой же Академии; председателем Ассоциации курортологов Грузии и членом Президиума Международного общества спелеотерапевтов.

## **IORAM D. TARKHAN-MOURAVI IS 70 YEARS OLD**

The Doctor of Medical Sciences, Professor Ioram D. Tarkhan-Mouravi was born on September 17, 1943 in Tbilisi.

In 1968, Ioram D. Tarkhan-Mouravi graduated from the Medical Faculty of the Tbilisi State Medical Institute and was drafted into the Soviet Army. After demobilization, in 1970-1972 he worked as a physician at the Tbilisi polyclinic №11.

From 1972 to 1979, he worked as a junior scientist at the Scientific and Research Institute of Health Resort Managing and Physiotherapy of Georgia, and in 1979-1987 - as a scientific secretary at the same Institute.



In 1987-1991, Ioram D. Tarkhan-Mouravi was the head of the speleotherapy laboratory of the Scientific and Research Institute of Health Resort Managing and Physiotherapy of Georgia; from 1991 to 2000 – the head of medical climatology and climatotherapy department at the same Institute. In 1999-2000, he combined the position of the head of the mentioned department with the position of the deputy director of this Institute.

In 2000-2005 Ioram D. Tarkhan-Mouravi was the director of Research-Practical Centre for Health Resort Managing, Physiotherapy and Medical Tourism of Georgia. At the same time, in 2003-2005, he was elected as a Professor of the department of health resort managing and physiotherapy at the State Medical Academy of Georgia.

From 2005 to 2011, Ioram D. Tarkhan-Mouravi was the deputy general director - director of science of the organization called „Tbilisi Balneological Resort- Scientific and Practical Centre for Health Resort Managing, Physiotherapy, Rehabilitation and Medical Tourism of Georgia”.

Since 2012 to present he has been the deputy general director - director of science of the organization called Tbilisi Balneological Resort „Tbilisi - SPA”- National Scientific and Practical Centre for Health and Medical Rehabilitation", and, simultaneously, the head of the scientific and research laboratory of health resort managing, physiotherapy and medical tourism at the same organization.

In 1973, Dr. Tarkhan-Mouravi was the first doctor in the USSR to start using the micro-climate of karst caves for the treatment of patients with chronic non-specific lung diseases. He was also the first doctor in the world who established the therapeutic effect of the micro-climate of karst caves on a number of diseases of cardiovascular, endocrine and nervous systems.

In 1979, Ioram D. Tarkhan-Mouravi successfully defended his dissertation on “Speleotherapy of patients with bronchial asthma in the conditions of karst cave “Tetri Mgvime” (Tskaltubo)” for the degree of Candidate of Medical Sciences, and in 1994 - dissertation for the degree of Doctor of Medical Sciences - “Clinical and experimental substantiation of karst cave microclimate in chronic nonspecific lung diseases”.

Ioram D. Tarkhan-Mouravi is the author of two inventions. For his great achievements in the field of health care, scientific activity and rehabilitation, he was awarded in Georgia “Medal of Honour” (1998) and “The Order of Honour” (2001), in the Russian Federation - “Gold Medal of A. Chizhevsky”, and in the USA - “Gold Medal of Honour” (2010).

Ioram D. Tarkhan-Mouravi is continuously preparing highly qualified scientific and practical personnel, sharing his experience and knowledge with students, registrars and doctors of other institutions.

Under his supervision, 15 candidate and two doctoral dissertations have been written and successfully defended. Ioram D. Tarkhan-Mouravi has organized and participated in many International scientific conferences and symposia. He has 189 published scientific works, including 5 monographs and 6 manuals for students and doctors. His articles, monographs and manuals have been published not only in Georgia, but also in the near and far abroad (Russian Federation, Armenia, Ukraine, UK, USA, Germany, Czech Republic, Slovakia, Hungary, etc.).

Dr. Tarkhan-Mouravi is a full member of Academy of sciences for preventive medicine of Georgia and Vice-President of this Academy; a full member of the Academy of Medical and Technical Sciences of the Russian Federation and Vice-President of this Academy in Georgia, Chairman of Association of health resort managing of Georgia and a member of the Presidium of the International society of speleotherapists.

**პლასტიკური მასალების გამოყენება**

**ანალური ფისტულების ქირურგიულ კორექციაში**

თეიმურაზ აბულაძე, დარეჯან მუჟანაძე, კონსტანტინე შაფათავა

თსსუ, თბილისი, საქართველო

ანალური ფისტულების აბსოლუტური უმრავლესობა ყალიბდება არასპეციფიკური პარარექტული აბსცესის (მწვავე პარაპროქტიტის) სპონტანური გახსნის ან არაადეკვატური ქირურგიული ჩარევის შედეგად. მათ მიაკუთვნებენ არასპეციფიკური, იდიოპათური ან კრიპტოგენური ფისტულების ნაირსახეობებს. დაავადების ძირითად ეტიოლოგიურ ჰიპოთეზას წარმოადგენს კრიპტების ზონაში განლაგებული ანალური ჯირკვლების დაინფიცირება და ფისტულის შიგნითა ხვრელის ფორმირება, რომლის იდენტიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დიაგნოსტიკასა და რადიკალურ მკურნალობაში [1, 4, 5]. ანალური ფისტულის განვითარება ასევე შესაძლებელია კრონის დაავადების [3], ოპერაციული ტრავმების, ტუბერკულოზის, ვენერიული ლიმფოგრანულომატოზის დროს.

ქირურგიული მკურნალობის ეფექტურობისთვის აუცილებელია:

- ანალურ არხში ფისტულის შიგნითა ხვრელის ზუსტი ლოკალიზაციის იდენტიფიცირება (უკანა, წინა თუ გვერდითა კედელზე);
- ფისტულის გარეთა ხვრელის (ხვრელების) ლოკალიზაციის ზუსტი იდენტიფიცირება;
- ფისტულის ძირითადი არხის მდებარეობის შეფასება ანალურ სფინქტერთან მიმართებაში;
- ჩირქოვანი ქსოვილების და ჯიბეების, ასევე პროცესით გამოწვეული სხვა გართულებების არსებობის დადგენა [2].

მარტივი ფისტულების დროს წარმატებით იყენებენ ფისტულის არხის ამოკვეთას შიგნითა ხვრელთან ერთად ნაწლავის სანათურში, რამდენადაც ჩატარებული ოპერაციული ჩარევა ზიანს არ აყენებს ანალური სფინქტერის ფუნქციას. სხვა მდგომარეობაა რთული ფისტულის შემთხვევაში.

რთული რეციდიული, ექსტრასფინქტერული, ნალისმაგვარი და, ნაწილობრივ, ტრანსსფინქტერული ფისტულების ქირურგიული მკურნალობის მიზნით მოწოდებულია მრავალი რადიკალური ქირურგიული მეთოდი, მიმართული ნაწლავის სანათურში შიგნითა ხვრელის ლიკვიდაციისთვის ბასრი წესით ან ლიგატურით,

ოპერაციები დოზირებული სფინქტეროტომიით. ასეთი ოპერაციების დროს ხშირია ოპერაციის შემდგომი ანალური სფინქტერის დეფორმაცია ფუნქციის დაქვეითებით, ზოგჯერ კი მძიმე ინკონტინენციით. რაც შეეხება ცნობილ პლასტიკური ოპერაციებს აუტოქსოვილებით (კანით ან ლორწოვანის ნაფლეთის გადაადგილებით), რომელთა მიზანია შიგნითა ხერეღის ჰერმეტიზაცია, დიდი ზომის დეფექტისა და უხეში ნაწიბურების არსებობის დროს გადაადგილებული ქსოვილები სრულფასოვნად ვერ უზრუნველყოფენ რეპარაციას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ფისტულის რთული ფორმით დაავადებულთა მკურნალობა მიმართული უნდა იყოს უპირველესად პოსტოპერაციული ინკონტინენციის პრევენციისკენ, ამისთვის უფრო მისაღებია სფინქტერდამზოგავი პლასტიკური ოპერაციების წარმოება.

ამიტომ, გაჩნდა იდეა ფისტულის შიგნითა ხერეღის ჰერმეტიზაციისთვის შეგვერჩია და გამოგვეყენებინა აპრობირებული ხელოვნური პლასტიკური მასალები ან ავადმყოფის აუტოქსოვილი.

გავეცანით რა სხვადასხვა მეცნიერულ კვლევებს ქირურგიასა და უროლოგიაში, შევხერდით იმაზე, რომ ტრანსპლანტატად გამოგვეყენებინა თვით პაციენტის ბარძაყის ფართო ფასციის ნაჭერი, რომლის პლასტიკური და ალოსტატიკური თვისებები საკმაოდ კარგად არის ცნობილი (მიღებულია საავტორო უფლება №1091909). იგი სტერილურია და მისი გამოყენება არ მოითხოვს დამატებით დამუშავებას ან გაუვნებლობას. გამოვიყენეთ ასევე კლინიკურ პრაქტიკაში აპრობირებული სინთეტიკური მასალები (ექსპლანტატები): შემაერთებელი ბიოშეთავსებითი ელემენტები (შბე); პოლიმერული ბიოშეთავსება დიფირფიტები არარმირებული და არმირებული ლაქსანის ბადით და სამედიცინო წებოები (მკ-7, მკ-8, მკ-14).

ნაშრომის კლინიკური ნაწილი ეყრდნობა 258 ავადმყოფის მკურნალობის გამოცდილებას, რომლებზეც ჩატარდა პლასტიკური ოპერაციები ექსპლანტატებისა და აუტოტრანსპლანტატის გადანერგვით. ჩვენ მიერ დამუშავებულია პლასტიკური ოპერაციების 4 ხერხი (ვარიანტი) რთული ანალური ფისტულების დროს, სადაც ტრადიციული მეთოდები ყოველთვის არ იძლევა დადებით შედეგს. დაკვირვების ობიექტები იყვნენ პაციენტები, რომელთაც ჰქონდათ: ექსტრასფინქტერული ფისტულა - 119; ნალისმაგვარი ფისტულა - 37; შიგნითა არასრული ფისტულა სფინქტერშია განლაგებით - 31; სწორნაწლავ-საშოს ფისტულა - 12; პოსტტრავმული - 8; წინა ტრანსსფინქტერული ფისტულები (ქალებში) - 31.

ჩვენ მიერ მოწოდებული პლასტიკური მეთოდების ეფექტურობის შედარებისა და შეფასების მიზნით შევისწავლეთ საკონტროლო ჯგუფის 281 ავადმყოფის მკურნალობის შედეგები, მიღებული ცნობილი ტრადიციული მეთოდით.

ძირითად ჯგუფში დაავადების ფორმები სარწმუნოდ უფრო რთული იყო, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის ავადმყოფებში. 258 ავადმყოფიდან ანალური მომჭერის ოპერაციამდელი უკმარისობა დაუვდგინეთ 63 პაციენტს ( $24.5 \pm 2.7\%$ ), ხოლო საკონტროლო ჯგუფის 281-დან - 39-ს ( $13.9 \pm 2.1\%$ ).

სწორი ნაწლავის დისტალურ მონაკვეთზე ოპერაციათა უმრავლესობა ჩვენი კლინიკის პირობებში ჩატარებულია რეგიონული (სპინალურ/ეპიდურული) ანესთეზიით. რეგიონული ანესთეზია განსაკუთრებით ეფექტურია როგორც ოპერაციული გაუტკივარების, ასევე ოპერაციის შემდგომი ტკივილგამაყუჩებელი თერაპიის მიზნით. ჩვენ დღესაც წარმატებით ვიყენებთ ანესთეტიკ ნაროპინს (როპივაკანი) - მწარმოებელი „Astra Zeneka“ ანესთეზიის და პოსტოპერაციული ანალგეზიის მისაღწევად. ნაროპინის გამოყენების დროს ნაკლებად გამოხატულია მოტორული ბლოკი, რაც პაციენტებისთვის მეტად კომფორტულია. ოპერაციის შემდგომ პერიოდში ტკივილის კუპირების მიზნით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ძალზე მნიშვნელოვანია პრეპარატის დოზის და კონცენტრაციის ადეკვატური შერჩევა. ნაროპინის 0.2%-იანი ხსნარი პოსტოპერაციული ანალგეზიის დროს ეფექტურ გაუტკივარებას იძლევა.

ოპერაციის შემდეგ პირველი 24 საათის განმავლობაში ტკივილის კუპირებისთვის ეპიდურული კატეტერის საშუალებით ვახდენთ ანესთეტიკის ინფუზიას 1.5-2 საათიანი ინტერვალით, ხოლო შემდეგ კი ინფუზიის ინტერვალის ტკივილის ინტენსივობის შემცირების შესაბამისად იზრდება.

წარმოვიდგინეთ ჩვენ მიერ მოწოდებული პლასტიკური ოპერაციის IV მეთოდის (ვარიანტის) ძირითად ქირურგიულ ეტაპებს. ოთხივე მეთოდის დროს იდენტიფიკაციის შემდეგ, პირველ ეტაპზე ხდება ფისტულის არხის და ჩირქოვანი ჯიბეების მობილიზაცია და ბასრი წესით ამოკვეთა შორისის მხრიდან ნაწლავის კელამდე, ტაკვის დამუშავება; მეორე ეტაპზე კეთდება ფისტულის შიგნითა ხვრელის ენდორექტული ექსციზია დეფექტის კიდეების განახლებით, კიურეტაჟით, სანაცით, ჰემოსტაზით. მხოლოდ ამის შემდეგ ვაწარმოებთ პლასტიკური ღონისძიებების 4 სხვადასხვა ვარიანტს.

პირველი მეთოდი - „ნაკეროვან-წებოვანი პლასტიკა“ გამოყენებულ იქნა დაავადების შედარებით გაურთულებელი ფორმების დროს. შიგნითა ხვრელის და

მოკვეთილი ფისტულის არხის ტაკვის პლასტიკა წარმოებულია მხოლოდ წებოვანი კომპოზიციებისა და ვიკრილის ნაკერების გამოყენებით (56 შემთხვევაში).

პლასტიკის მეორე მეთოდი - „ნაფლეთის მიკერება“ გამოიყენება უფრო რთული ექსტრასფინქტურული და არასრული შიგნითა ფისტულების დროს, როდესაც დამუშავებული შიგნითა ხვრელის დიამეტრი არ აღემატება 10 მმ-ს. მეთოდის მსვლელობისას მიემართავეთ ტაკვის პლასტიკას წებოთი და არაარმირებული ფირფიტის მიკერებით ტაკვის ქსოვილებთან, ხოლო შიგნითა ხვრელის იმპლანტაციისთვის გამოყენებულია ან არმირებული ლავსანის ფირფიტა ან ფასციის ნაკერი ფისტულის ფსკერზე დაწებებით და პერიმეტრზე შემდგომი მიკერებას კვანძოვანი ნაკერებით. ოპერირებულია 54 პაციენტი.

პლასტიკის III მეთოდი - „ნაფლეთის იმპლანტაცია“. შიგნითა ხვრელის დამუშავების შემდეგ მის სიღრმეში წებოს საშუალებით იმპლანტირებულია აუტოქსოვილი, ხოლო ზემოდან გადაიკერება ანალური არხიდან მობილიზებული ლორწოვან-კუნთოვანი შრის ქსოვილი. ოპერაციის ყველა დანარჩენი დეტალი II ხერხის იდენტურია. ეს ვარიანტი გამოვიყენეთ ძირითადი ჯგუფის 118 ავადმყოფზე.

IV მეთოდს ვუწოდეთ „პლასტიკა ნაფლეთით“, ძირითადად ვიყენებდით რექტოვაგინური, ასევე მაღალი ტრავმული ფისტულების დროს უკვე არსებული ანალური სფინქტერის უკმარისობის პირობებში. ფისტულის ლიკვიდაციასთან ერთად წარმოებულია სფინქტერო- ან ლევატოროსფინქტეროპლასტიკა.

პლასტიკური მასალის გამოყენება ხდება როგორც ანალური არხის კედლის დეფექტის ჰერმეტიზაციისთვის, ისე ანალური მომჭერის გაკერილი კუნთოვანი სტრუქტურის შენარჩუნებისთვის. უფრო საიმედო პლასტიკური მასალაა ლავსანით არმირებული ფირფიტები, შედარებით ნაკლებად - აუტოფასცია. ჩვენი აზრით, ამ ქირურგიული ტექნიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპია შორისის მხრივ ჩარევა (30 ოპერაცია).

ჩატარებული მკურნალობის შედეგების შეფასებამ გვიჩვენა, რომ რეციდივების სიხშირე ძირითადი ჯგუფის პაციენტებში საკონტროლოსთან შედარებით შემცირდა  $9.3 \pm 1.75\%$ -დან  $5.4 \pm 1.4\%$ -მდე, შესაბამისად, ხოლო ოპერაციის შემდგომი ანალური შეუკავებლობა ძირითად ჯგუფში არ გამოვლენილა, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფში ეს გართულება შეგვხვდა  $9.6 \pm 1.8\%$ -ში ( $P < 0.001$ ).

ბოლოს გვინდა აღვნიშნოთ, რომ ანალური ფისტულის რადიკალური ქირურგიული მკურნალობის მეთოდებში პლასტიკური მასალების გამოყენების შემდეგ ჩამკეტი აპარატის ფუნქციის შენარჩუნება ის ძირითადი უპირატესობაა,

რომელიც უფლებას გვაძლევს რეკომენდაცია გავუწიოთ მათ გამოყენებას სპეციალიზებულ სტაციონარებში მკურნალობისთვის.

### **დასკვნები**

1. აუტოტრანსპლანტატებით (ბარძაყის ფასციის თავისუფალი ნაჭერი), ექსპლანტატებით (სინთეზური ფირფიტები) და წებოვანი კომპოზიციებით წარმოებული პლასტიკური ოპერაციები მოწმობს მათ მაღალ პლასტიკურ თვისებებზე და, შესაბამისად, გამოყენების მიზანშეწონილობაზე სწორი ნაწლავის სხვადასხვა სირთულის და სწორნაწლავ-საშოს ფისტულების ქირურგიული მკურნალობის დროს.

2. ოპერაციამდელი და ოპერაციის შემდგომი სფინქტერის ფუნქციის შედარებითი შესწავლით დადგინდა, რომ ჩვენ მიერ დამუშავებული პლასტიკური ოპერაციების ხერხები არ იწვევს კონტინენციის გაუარესებას დაავადების რეციდივის შემთხვევაშიც კი, მაშინ, როცა ავადმყოფთა საკონტროლო ჯგუფს, რომელთაც ოპერაციები ტრადიციული მეთოდებით ჰქონდათ გაკეთებული, ანალური მომჭერის სისუსტე აღენიშნათ  $9.6 \pm 1.8\%$ -ში.

**საკვანძო სიტყვები:** ანალური ფისტულა, აუტოტრანსპლანტატები, ექსპლანტატები, პლასტიკური ოპერაციები

### **ლიტერატურა:**

1. Eisenhammer S. The final evaluation and classification of the surgical treatment of the primary anorectal, cryptoglandular intermuscular (intersphincteric) fistulous abscess and fistula // Dis. Colon Rectum. – 1978. – Vol. 21. – P. 237–254.
2. Goodsall D.H., Miles W.E. Diseases of the anus and rectum. – London: Longmans, Green, 1890. – 92 p.
3. Marks C.G., Ritchie J.K., Lockhart-Mummery H.E. Anal fistulas in Crohn's disease // Br. J. Surg. – 1981. – Vol. 68. - P. 525-527.
4. McColl I. The comparative anatomy and pathology of anal glands // Ann. R. Coll. Surg. Engl. – 1967. – Vol. 40. – P. 36-67.
5. Parks A.G. The pathogenesis and treatment of fistula-in-ano // Br. Med. J. – 1961. – Vol. 1. – P. 463-469.

**შპს (UDC) 616.351**

**ა-206**

**პლასტიკური მასალების გამოყენება**

**ანალური ფისტულების ქირურგიულ კორექციაში**

თეიმურაზ აბულაძე, დარეჯან მუჟანაძე, კონსტანტინე შაფათავა

თსსუ, თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

ჩვენ მიერ მოწოდებულია რთული ანალური ფისტულების შიგნითა ხერხელის შორის-ტრანსანალური პლასტიკური ჰერმეტიზაციის 4 მეთოდი აუტოტრანსპლანტატების (ბარდაყის ფართო ფასციის ნაჭერის), ექსპლანტატების (სინთეზური პოლიმერული ფირფიტები) და სამედიცინო წებოების (მკ-7, მკ-8, მკ-14) გამოყენებით, სფინქტერის ბოჭკოების მიმართ სრული კონტინენციის შენარჩუნებით. პლასტიკური ოპერაციები ჩატარდა 258 პაციენტს (ძირითადი ჯგუფი). ახალი მეთოდების ეფექტურობის შეფასებისთვის შევისწავლეთ აგრეთვე საკონტროლო ჯგუფის 281 პაციენტზე წარმოებული ტრადიციული მეთოდების შედეგები.

ჩატარებული მკურნალობის შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეციდივების სიხშირე ძირითადი ჯგუფის პაციენტებში საკონტროლოსთან შედარებით შემცირდა  $9.3 \pm 1.75\%$ -დან  $5.4 \pm 1.4\%$ -მდე, შესაბამისად, ხოლო ოპერაციის შემდგომი ანალური შეუკავებლობა ძირითად ჯგუფში არ გამოვლენილა, მაშინ როცა საკონტროლო ჯგუფში ეს გართულება შეგვხვდა  $9.6 \pm 1.8\%$ -ში ( $P < 0.001$ ).

რთული ანალური ფისტულის ქირურგიულ კორექციაში პლასტიკური მასალების გამოყენების შემდეგ ჩამკეტი აპარატის ფუნქციის შენარჩუნება ის ძირითადი უპირატესობაა, რომელიც უფლებას გვაძლევს რეკომენდაცია გავუწიოთ მათ გამოყენებას სპეციალიზებულ სტაციონარებში.

**УДК (UDC) 616.351**

**A-177**

**ИСПОЛЬЗОВАНИЕ ПЛАСТИЧЕСКИХ МАТЕРИАЛОВ**

**В ХИРУРГИЧЕСКОЙ КОРРЕКЦИИ АНАЛЬНЫХ ФИСТУЛ**

Абуладзе Т.В., Мжаванадзе Д.Ш., Шапатава К.В.

ТГМУ, Тбилиси, Грузия

**Резюме**

Нами разработаны 4 способа промежностно-прямокишечной пластики внутренних отверстий свищей и их культей со стороны промежности с применением аутотрансплантатов

(лоскута широкой фасции бедра), эксплантатов (синтетических полимерных пленок) и медицинских клеев МК-7, МК-8, МК-14 без нанесения операционной травмы волокнам сфинктера. Операции были выполнены 258 больным со сложными прямокишечными и прямокишечно-влагалищными свищами. Установлены возможности выполнения каждого из разработанных способов пластических операций с использованием того или иного пластического материала в зависимости от форм, степеней сложности, состояния функции запирающего аппарата. Для сравнения изучены результаты хирургического лечения анальных свищей 281 больного (контрольная группа), оперированными традиционными методами. Установлено снижение частоты рецидивов свищей у пациентов основной группы ( $5.4 \pm 1.4\%$  и  $9.3 \pm 1.73\%$ , соответственно), послеоперационная анальная инконтиненция не наблюдалась вообще, тогда как в контрольной группе это осложнение встретилось у  $9.6 \pm 1.8\%$  больных ( $p < 0.001$ ).

## **UDC 616.351**

### **A-17**

#### **USE OF PLASTIC MATERIALS IN SURGICAL REPAIR OF ANAL FISTULAE**

Teimuraz V. Abuladze, Darejan Sh. Mzhavanadze, Konstantin V. Shapatava

Tbilisi State Medical University, Georgia

#### **Summary**

Surgical treatment of complex anal fistulae should be primarily directed at preventing postoperative fecal incontinence. We have introduced the fourth variant of plastic surgery, which utilizes autotransplantation (fascia lata femoris), explantation (synthetic polymeric plates), or medical glues. The procedure was performed on 258 subjects. The plastic repair of anal fistulae was directed at hermetization of the perineally resected fistula stump and transanal repair of the internal channel with the full preservation of the sphincter function.

The results of the treatment were compared with the control group of 281 subjects. The rate of recurrence in the experimental group, when compared to the control group, was decreased from  $9.3 \pm 1.7\%$  to  $5.4 \pm 1.4\%$ . No anal insufficiency was observed in the experimental group, while its rate in the control group was  $9.6 \pm 1.8\%$ .

შპს (UDC) 616.24-002.5

0-361

**ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების მქონე  
ავადმყოფთა კარსტული მღვიმის მიკროჰავით მკურნალობის  
მიზანშეწონილობის დასაბუთება**

იორამ თარხან-მოურავი

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“-ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი  
თბილისი, საქართველო

**შესავალი:**

ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების (ფქად) ფართოდ  
გავრცელება აქტუალურს ხდის აღნიშნული პათოლოგიების მკურნალობის ახალი,  
უფრო ეფექტური საშუალებების ძიებას.

**კვლევის მიზანი:**

კლინიკაში და ექსპერიმენტში კარსტული გამოქვაბულის პირობებში  
სპელეოთერაპიის მოქმედების დადგენა ფქად-ის დროს.

**მასალა და მეთოდები:**

დაკვირვებები ჩატარებულია ფქად-ის (ბრონქული ასთმა, ქრონიკული ბრონქიტი,  
გახანგრძლივებული პნევმოზია) მქონე 694 ავადმყოფზე და ექსპერიმენტულად  
გამოწვეული ქრონიკული არასპეციფიკური ბრონქულ-პულმონური ანთებითი  
პროცესის (ქაბპაპ) მქონე 20 ბოცვერზე. 515 ავადმყოფს და 20 ბოცვერს ჩაუტარდა  
მკურნალობა კარსტული გამოქვაბული „თეთრი მღვიმის“ (კურორტი წყალტუბო),  
ხოლო 179 პაციენტს - ახალი ათონის კარსტული გამოქვაბულის პირობებში.

**შედეგები:**

დადგენილ იქნა, რომ სპელეოთერაპიის კურსი კარსტული გამოქვაბულის  
პირობებში ჰიპოთალამუსის უჯრედებში მეტაბოლიზმის გააქტიურებას იწვევს.

ექსპერიმენტულ ცხოველებში ეს გამოიხატებოდა ჰიპოთალამუსის  
ნეიროსეკრეტული უჯრედების ზომების მატებით. შეიმჩნეოდა ჰიპერ- და ჰიპო-  
ქრომიული უჯრედები. ჰიპოთალამუსის უჯრედების მომრგვალებული ბირთვები კი,  
როგორც წესი, შეიცავდა მსხვილ ოსმიოფილურ ბირთვაკებს. ნათელი უჯრედები  
ხასიათდებოდა სატელიტების არსებობით. ჰიპოთალამუსის უჯრედებში  
მეტაბოლიზმის გააქტიურება, თავის მხრივ, ჰიპოფიზის უჯრედების სეკრეტორული  
აქტიურობის ზრდას იწვევდა.

ექსპერიმენტულ ცხოველებში ეს გამოიხატებოდა ადენოჰიპოფიზში გადიდებული ზომის პოლიმორფული სეკრეტორული უჯრედების მატებით. ამავე დროს ამ უჯრედების ციტოპლაზმაში იზრდებოდა სეკრეტორული გრანულების რაოდენობა.

ექსპერიმენტულ ცხოველებშიც და ფქად-ის მქონე ავადმყოფებშიც აღინიშნებოდა ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის შემცველობის მატება სისხლის პლაზმაში.

ჰიპოფიზის უჯრედების სეკრეტორული აქტიურობის მომატება იწვევდა თირკმელზედა ჯირკვლის კონოვანი ზონის მიერ გლუკოკორტიკოსტეროიდების გამომუშავების გაძლიერებას. კერძოდ, ექსპერიმენტული ცხოველების კარსტულ გამოქვაბულში მკურნალობის შემდეგ, თირკმელზედა ჯირკვლის ქერქში კონოვანი უჯრედების ფორმა დამრგვალებისკენ ტენდენციას ამჟღავნებდა, მათი ციტოპლაზმა ჭარბად იყო შევსებული მარცვლოვანი ჩანართებით და ვაკუოლიზაციის ხარისხი საგრძნობლად იყო დაქვეითებული. გამოვლინდა კონათაშორის სივრცეების გამოხატული გაფართოება. ქერქოვან ნივთიერებაში ეს სივრცეები აძლევენ საწყისს პერისინუსოიდალურ ფესვებს. მიტომ, აღნიშნული გაფართოება მიანიშნებს კონოვან ზონაში სეკრეციისა და ცირკულაციის პროცესების გაძლიერებაზე.

როგორც ექსპერიმენტული ცხოველების, ისე ავადმყოფთა სისხლის პლაზმაში აღინიშნებოდა კორტიზოლის მატება.

სისხლში კორტიზოლის მომატებული გადმოსროლა ახდენდა მადესენსიბილიზებელ და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას, რაც ვლინდებოდა სისხლის შრატში საერთო არასპეციფიკური იმუნოგლობულინ E-ს, ჰაპტაგლობინის, სიალის მუავის,  $\alpha_1$  და  $\alpha_2$ -გლობულინების შემცირებით და ალბუმინების შემცველობის მომატებით, „C“-რეაქტიულ ცილაზე პრეციპიტაციის რეაქციის ინტენსივობის შესუსტებით (გაქრობამდეც კი).

ცხოველებში ექსპერიმენტულად გამოწვეული ქრონიკული არასპეციფიკური ბრონქულ-პულმონური ანთებითი პროცესის დროს, კარსტული გამოქვაბულის პირობებში მკურნალობის შემდეგ, აღინიშნებოდა ფილტვების პარენქიმისა და სტრომის სრული ნორმალიზაცია ან ტენდენცია ნორმალიზაციისკენ. ბრონქულ-პულმონური აპარატის სისხლძარღვებისა და სასუნთქი გზების კედლები ნორმისგან არ განსხვავდებოდა. ბრონქიოლებში არ ვლინდება ანთებითი ექსუდატები.

ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევისას ვლინდებოდა აერო-ჰემატური ბარიერის უჯრედების და უჯრედთშორისი კომპონენტების ნორმალური ულტრა-

სტრუქტურა.

ბრონქულ-პულმონურ აპარატში ანთებითი პროცესის და ორგანიზმის სენსიბილიზაციის შესუსტება (გაქრობამდეც კი) იწვევდა ბრონქების სანათურების გაფართოებას, რასაც თან ახლდა ბრონქული გამავლობის გამოსატული გაუმჯობესება, ჰიპოქსიის შემცირება აერობული პროცესების გაძლიერებისა და ანაერობული ცვლის დათრგუნვის შედეგად. აღნიშნული ძვრები ავადმყოფებში, რომელთაც მკურნალობა კარსტული გამოქვაბულის პირობებში ჩაუტარდათ, ვლინდებოდა ფილტვების სასიცოცხლო და ფორსირებული სასიცოცხლო ტევადობის, შესუნთქვისა და ამოსუნთქვის სიმძლავრეების, ვენოზური სისხლის ჟანგბადით გაჯერების ზრდით, სისხლში პირეურმინის და რძის მჟავების გამოსატული შემცირებით.

ბრონქული გამავლობის გაუმჯობესება ხელს უწყობდა ფილტვების მაქსიმალური ვენტილაციის, შტანგესა და გენჩის სიდიდეების, არტერიული სისხლის ჟანგბადით გაჯერების ზრდას და სუნთქვის გაიშვიათებას.

ბრონქული გამავლობის გაუმჯობესება და ჰიპოქსიის შემცირება (გაქრობამდეც კი) კარსტული გამოქვაბულის პირობებში ჩატარებული მკურნალობის შედეგად ავადმყოფებში იწვევდა ძირითადი ცვლის, ჟანგბადის შთანთქმისა და სუნთქვის წუთ-მოცულობის შემცირებას; ჰემოდინამიკისა და ელექტროკარდიოგრაფიული მონაცემების გაუმჯობესებას. ავადმყოფებში აღინიშნებოდა, აგრეთვე, სუნთქვითი უკმარისობის გამოსატული შესუსტება (გაქრობამდეც კი).

ექსპერიმენტულ ცხოველებში, რომლებსაც არასპეციფიკური ქრონიკული ანთებითი პროცესი ბრონქებსა და ფილტვებში ჰქონდათ, კარსტული გამოქვაბულის პირობებში მკურნალობის შემდეგ, აღინიშნებოდა მიოკარდიუმის ჰისტო- და ულტრასტრუქტურის ნორმალიზაცია. მიოკარდიუმის კუნთოვანი ბოჭკოები მკაფიოდ გამოსატული მოხაზულობით ხასიათდებოდა, კარდიომიოციტების დიდი წაგრძელებული ბირთვები შეიცავდა 2-3 მსხვილ ბირთვაკს. ელექტრონულ-მიკროსკოპული გამოკვლევებით გამოვლენილი ცვლილებები კარდიო- და ენდოთელიოციტებში არ სცილდებოდა ფიზიოლოგიურ ნორმებს.

ორგანიზმის სენსიბილიზაციის, ბრონქულ-პულმონურ აპარატში ანთებითი პროცესისა და ინტოქსიკაციის დაქვეითება (გაქრობამდეც კი) უჯრედოვან იმუნიტეტს აძლიერებდა, რაც ვლინდებოდა სისხლში T-ლიმფოციტების რაოდენობის ზრდით.

სისხლში T-ლიმფოციტების რაოდენობის ზრდა ჰუმორული იმუნიტეტის მაჩვენებლების ნორმალიზაციას იწვევდა.

ორგანიზმის სენსიბილიზაციისა და ბრონქულ-პულმონურ აპარატში ანთებითი პროცესისა და ჰიპოქსიის დაქვეითება (გაქრობამდეც კი) აუმჯობესებდა სიმპათო-ადრენალური სისტემის და ღვიძლის ფუნქციებს, რაც მანორმალიზებლად მოქმედებდა სისხლში ადრენალინის და ნორადრენალინის შემცველობაზე, ლიპიდების, ცილის და ელექტროლიტების ცვლაზე.

ორგანიზმის სენსიბილიზაციის, ინტოქსიკაციისა და ბრონქულ-პულმონურ აპარატში ანთებითი პროცესის შესუსტება (გაქრობამდეც კი), სუნთქვის და სისხლძარღვთა სისტემების ფუნქციების, იმუნოლოგიური რეაქტიულობის და ცვლის პროცესების გაუმჯობესება დადებითად მოქმედებდა ავადმყოფთა კლინიკურ მდგომარეობაზე. ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების მქონე ავადმყოფებში, რომელთაც მკურნალობა კარსტული მღვიმის პირობებში ჩაუტარდათ, ეს პროცესი ჩივილების შესუსტებით (გაქრობამდეც კი) ვლინდებოდა ფილტვებში პერკუტორული და აუსკულტაციური მაჩვენებლების გამოხატული გაუმჯობესებით.

„თეთრი მღვიმის“ პირობებში ჩატარებულმა მკურნალობამ თერაპიულად იმოქმედა ფქად-ის მქონე 502 ავადმყოფზე და ექსპერიმენტულად გამოწვეული ბრონქულ-პულმონური არასპეციფიკური ანთებითი პროცესის მქონე 20 ბოცვერზე. გაუარესების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

ახალი ათონის გამოქვაბულის პირობებში ჩატარებულმა მკურნალობამ თერაპიული ზეგავლენა მოახდინა ფქად-ის მქონე 179 ავადმყოფზე.

**დასკვნები**

1. სპელეოთერაპია კარსტულ მღვიმეში ანთების საწინააღმდეგო და მადესენსიბილიზებელ მოქმედებას ახდენს, რაც იწვევს კლინიკური და ლაბორატორიული მაჩვენებლების გაუმჯობესებას.
2. მკურნალობა კარსტულ მღვიმეში წარმოადგენს ფქად-ის მკურნალობის ეფექტურ მეთოდს.

**საკვანძო სიტყვები:** გამოქვაბული, ფილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებები, მკურნალობა, ბრონქული გამავლობა, სისტემა

**ლიტერატურა:**

1. თარხან-მოურავი ი. სპელეოთერაპია. – თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000. – 85 გვ.
2. თარხანიშვილი (თარხან-მოურავი) ი. მღვიმეები და მათი თერაპიული გამოყენება //V რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია (მასალები) – ქუთაისი, 1997 – გვ. 180-183

3. Тархнишвили (Тархан-Моурави) И.Д. Влияние микроклимата карстовой пещеры на больных хроническими неспецифическими заболеваниями легких //X Международный спелеологический конгресс. – Сборник докладов. – 1989. Т. II.– Будапешт.– С. 423-425.

4. Тархнишвили (Тархан-Моурави) И.Д. Клинико-экспериментальное обоснование применения микроклимата карстовой пещеры при хронических неспецифических заболеваниях легких: Автореф. дисс. – Доктор мед. наук. – Москва, 1993. – 45 с.

**შპკ (UDC) 616.24-002.5**

**0-361**

**წილტვების ქრონიკული არასპეციფიკური დაავადებების მქონე  
ავადმყოფთა კარსტული მღვიმის მიკროკლიმატით მკურნალობის  
მიზანშეწონილობის დასაბუთება**

იორამ თარხან-მოურავი

თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ - ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი,  
თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

დადგინდა, რომ კარსტულ გამოქვაბულში ჩატარებული სპელეოთერაპიის კურსი როგორც ავადმყოფებში, ასევე ქაბპაპ-ის მქონე ცხოველებში იწვევს ჰიპოთალამუსის უჯრედებში მეტაბოლიზმის გააქტიურებას და ჰიპოფიზის უჯრედების სეკრეტორული აქტიურობის მომატებას. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იწვევს თირკმელზედა ჯირკვლების კონოვან ზონაში კორტიზოლის გამომუშავების სტიმულაციას. ეს ვლინდებოდა კორტიზოლის შემცველობის მატებით სისხლის პლაზმაში და იწვევდა ბრონქო-პულმონური ანთებითი პროცესის და ორგანიზმის სენსიბილიზაციის შესუსტებას (გაქრობამდეც კი), სუნთქვის, იმუნოლოგიური და კლინიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებას. დადგინდა, რომ სპელეოთერაპია კარსტული მღვიმის პირობებში ფქად-ის მქონე ავადმყოფთა მკურნალობის ეფექტური მეთოდია.

**УДК (UDC) 616.24-002.5**

**T-225**

**ОБОСНОВАНИЕ ЦЕЛЕСООБРАЗНОСТИ ЛЕЧЕНИЯ ХРОНИЧЕСКИХ  
НЕСПЕЦИФИЧЕСКИХ ЗАБОЛЕВАНИЙ ЛЕГКИХ  
МИКРОКЛИМАТОМ КАРСТОВОЙ ПЕЩЕРЫ**

Тархан-Моурави И.Д

Тбилисский бальнеологический курорт «Тбилиси-SPA» - Национальный научно-практический центр здоровья и медицинской реабилитации. Тбилиси, Грузия

### **Резюме**

Было установлено, что курс спелеотерапии в условиях карстовой пещеры как у больных, так и у животных с ХНБПВП вызывает активацию метаболизма в клетках гипоталамуса и увеличение секреторной активности клеток гипофиза, что, в свою очередь, влечет за собой увеличение выработки кортизола в пучковой зоне коры надпочечников. Это проявлялось в повышении содержания кортизола в плазме крови и влекло за собой ослабление (вплоть до исчезновения) бронхопульмонального воспалительного процесса и сенсibilизации организма, улучшение дыхания, иммунологических и клинических показателей.

Было установлено, что спелеотерапия в условиях карстовой пещеры эффективный метод лечения больных.

**UDC 616.24-002.5**

**T-21**

### **SUBSTANTIATION OF THE TREATMENT EXPEDIENCY OF PATIENTS WITH CHRONIC NONSPECIFIC PULMONARY DISEASES IN CONDITIONS OF MICRO-CLIMATE OF KARST CAVE**

Ioram D. Tarkhan-Mouravi

Tbilisi Balneological Health Resort - "Tbilisi-SPA" - The National Scientific and Practical Centre for Health and Medical Rehabilitation. Tbilisi, Georgia

### **Summary**

It has been found that the course of speleotherapy in the conditions of karst cave causes the activation of metabolism in hypothalamic cells and the increase of secretory activity of the pituitary cells both in patients and animals with chronic nonspecific bronchopulmonary inflammatory process, which, in its turn, leads to the increase of cortisol production in fascicular zone of adrenal cortex. This was manifested in the increase of cortisol content in blood plasma and involved the attenuation (up to the disappearance) of bronchopulmonary inflammatory process and sensibilization of the organism, the improvement of respiration, as well as immunological and clinical parameters.

It has been established that speleotherapy in karst cave is an effective method for the treatment of patients with CNPD.

შპს (UDC) 615.838(479.22)

ბ-86

**ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის ჭაბურღილის მინერალური  
წყლის აბაზანების კანსა და ზოგიერთ ორბანოზე ზემოქმედების  
ექსპერიმენტული კვლევა**

<sup>1</sup>იორამ თარხან-მოურავი, <sup>2</sup>ნინო გორდაძე, <sup>2</sup>ნელი დიდებულიძე, <sup>2</sup>მანანა კაკაბაძე,  
<sup>2</sup>ლევან მეტრეველი, <sup>2</sup>ინგა სიხარულიძე, <sup>2</sup>მთვარისა კორძაია

<sup>1</sup>თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი “თბილისი-SPA”-ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;

<sup>2</sup>ი. ჯავახიშვილის თსუ ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი,  
თბილისი, საქართველო

ჩატარდა ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში ჭაბურღილიდან მიღებული მინერალური წყლის აბაზანების ორგანიზმზე ზემოქმედების ექსპერიმენტული კვლევა. გამოკვლეულია სუსტი მინერალიზაციის (M-0,64) კაჟმუავა, ბორიანი, კარბონატულ-სულფატურ ნატრიუმიანი წყლის ზეგავლენა კანის, საყლაპავის, კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, ღვიძლის და თირკმლის პისტოლოგიურ სტრუქტურაზე [1, 2, 3].

**მასალა და მეთოდები.** ექსპერიმენტები ჩატარდა 20 თეთრ, უჯიშო მამრ ვირთაგვაზე, სხეულის 150-200 გ-იანი მასით. საცდელი ჯგუფის 10 ვირთაგვა 21 დღის განმავლობაში  $40\pm 3^{\circ}\text{C}$ -მდე შემთბარი მინერალური წყლის აბაზანას ღებულობდა 60 წთ-ის ხანგრძლივობით. საკონტროლო ჯგუფის 10 ცხოველი დროის ამავე მონაკვეთში ღებულობდა ამავე ტემპერატურის ონკანის წყლის აბაზანას. ორივე ჯგუფის ცხოველების ცდიდან გამოყვანა მოხდა ექსპერიმენტის ბოლოს 1% ეთამინალ-ნატრიუმის ინტრაპერიტონეალური ნარკოზით. ჩატარდა კანის, საყლაპავის, კუჭის ფუნდუსის ნაწილის, თორმეტგოჯა ნაწლავის, ღვიძლის დიდი წილის და თირკმლის ქსოვილოვანი ნიმუშების ფიქსაცია 4%-იანი ფორმალინის ხსნარში. აღმავალი კონცენტრაციის სპირტებში გაუწყლოვანების შემდეგ მასალა ჩაყალიბდა პარაფინში საყოველთაოდ მიღებული პროტოკოლით; მიკროტომზე მიღებული 5-7 მკმ სისქის ანათლები შეიღება ჰემატოქსილინით და ეოზინით. პრეპარატების აღწერა და მიკროფოტოების გადაღება მოხდა შუქ-ოპტიკურ მიკროსკოპში Ergeval-MF.

**მიღებული შედეგების აღწერა და განხილვა.**

1. **კანი.** ინტაქტური ვირთაგვას კანის ჰისტოლოგიურმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეპიდერმოციტები კარგად არიან გამოხატულნი, რქოვანა შრე მჭიდროდ ეკვრის ეპიდერმისს. დერმო-ეპიდერმალური შეერთება ცვლილებების გარეშეა და ბაზალური მემბრანის არეში ისინი მჭიდროდ ეკვრის ერთმანეთს. დერმის შემაერთებელქსოვილოვან მატრიქსში ვნახულვით კანის დანამატებს, თმის ფოლიკულებსა და ქონის ჯირკვლებს. ცენტრის მიმართულებით ქონის ჯირკვლის ეპითელიოციტებში აღინიშნება ცხიმის დაგროვება. საკონტროლო ჯგუფის ცხოველების კანი ნორმასთან შედარებით ნაკლებ ცვლილებებს განიცდის. ძირითადად გამოხატულია დერმის კოლაგენური ბოჭკოების გაჯირჯევა და ეოზინოფილობის დაქვეითება. ეპიდერმისში აღინიშნება რქოვანა შრის სისქის შემცირება, გრანულარული შრისგან ნაწილობრივი აცლა, რაც თბილი წყლის აბაზანების ზემოქმედების შედეგია. უფრო მეტი ცვლილებები აღინიშნა საკვლევი ჯგუფის ცხოველების კანში. კერძოდ, ეპიდერმისის რქოვანა შრის სისქე საგრძნობლად შემცირებულია, აცლილია გრანულარული შრის უჯრედებისგან და ზოგიერთ უბანში გამქრალია. საკუთრივ ეპიდერმისი წარმოდგენილია უჯრედების 2-3 ფენით, მათში აღინიშნება მიტოზური აქტიურობის მატება; ქონის ჯირკვლებში აღინიშნა მომწიფებული ეპითელიოციტების რაოდენობის კლება და დეროვანი უჯრედების მომატება. ყოველივე ზემოაღწერილის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ მინერალური წყლის აბაზანები არ ახდენს მავნე ზეგავლენას ორგანიზმზე. წყლის აბაზანების სამკვირიანი აპლიკაცია ექსპერიმენტული ცხოველების კანში ბუნებრივად მიმდინარე პროცესების (ეპიდერმისის კერატინიზაცია და დესქვამაცია, ქონის ჯირკვლების მომწიფება) ინტენსიფიკაციას ახდენს, რაც ხელს უწყობს კანის განახლების დაჩქარებას.

2. **საყლაპავი.** როგორც საკონტროლო, ისე საცდელი ჯგუფის ცხოველების საყლაპავის ლორწოვანი გარსი დაფარულია მრავალშრიანი ბრტყელი გაურქოვანებელი ეპითელიუმით. ლორწოქვეშა შრეში საყლაპავის ჯირკვლების მცირე ჯგუფებია. კუნთოვანი გარსი საყლაპავის ზედა მესამედში განივზოლიანი კუნთით არის წარმოდგენილი; შუა მესამედში განივზოლიანი კუნთოვანი ქსოვილი თანდათან იცვლება გლუვკუნთოვანით, ხოლო კუჭის მახლობლად მხოლოდ გლუვკუნთოვანი ბოჭკოებისგან შედგება. საყლაპავის გარეთა გარსს შეადგენს სეროზული გარსი, ან ადვენტიცია. ამრიგად, მინერალური წყლის აბაზანების სამკვირიანი აპლიკაცია ექსპერიმენტული ცხოველების საყლაპავზე გავლენას არ ახდენს.

**3. კუჭი.** მაკროსკოპულად როგორც საკვლევი, ისე საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების კუჭის ლორწოვანი გარსი ნაზი ვარდისფერია, კუჭში ლორწოს ზომიერი რაოდენობაა, ლორწოვანი გარსი ინტაქტურია. კუჭი ამოფენილია მაღალი ცილინდრული ჯირკვლოვანი ეპითელიუმით. კუჭის ფუნდუსის მიდამოში ორმოები ჩადრეკილია ლორწოვანში და გადადის კუჭის ჯირკვლების სადინარში, რომლებიც მათში იხსნება. ჯირკვლის ძირი შედგება ძირითადად მთავარი (ზიმოგენური) უჯრედებისგან, რომელთა შორის ჩანს მცირე რაოდენობის პარიეტული უჯრედებიც. ამრიგად, კუჭის ჰისტოლოგიური სტრუქტურა მინერალური წყლის აბაზანების შემდეგ საკვლევ ცხოველებში ინტაქტურია და არ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვას კუჭის ჰისტოლოგიური აგებულებისგან.

**4. თორმეტგოჯა ნაწლავი.** საცდელი და საკონტროლო ჯგუფის ცხოველებში თორმეტგოჯა ნაწლავის ლორწოვანი გარსის ხაოები დაფარულია ერთშრიანი ეპითელიუმით, რომელიც მაღალ, ცილინდრულ ენტეროციტებს და ფიალისებრ უჯრედებს შეიცავს. ლორწოვანის ხაოებს შორის სივრცეებში იხსნება ლიბერკუნის კრიპტები. კრიპტის ფუძეში გვხვდება პანეტის უჯრედები, რომელთა ციტოპლაზმაში განლაგებულია მკვრივი, მუქი ფერის გრანულები. ამრიგად, როგორც საკონტროლო, ისე საცდელი ცხოველების თორმეტგოჯა ნაწლავის ჰისტოლოგიური სტრუქტურა აბაზანების მიღების შემდეგ ინტაქტურია და ერთმანეთისგან არ განსხვავდება.

**5. ღვიძლი.** როგორც საცდელი, ისე საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვების ღვიძლი სავსებით ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ ნორმალურ აგებულებას (როგორც მაკროსკოპულ, ისე მიკროსკოპულ შენებას). ღვიძლის პარენქიმის წილაკოვანი შენება მკაფიოდ არის გამოხატული, წილაკები ინტაქტურია, პათოლოგიური ცვლილებების გარეშე; წილაკების შიგნით ჰეპატოციტების სივრცული ორიენტაცია დარღვეული არ არის, თვით ჰეპატოციტებიც მორფოლოგიურ ცვლილებებს არ ამჟღავნებს. ინტაქტურია ორგანოს სტრომაც. შეიძლება დასკვნის გაკეთება, რომ ექსპერიმენტის პირობებში შენარჩუნებულია ღვიძლის სტრუქტურა და, მაშასადამე მისი ფუნქცია (სიცოცხლისუნარიანობა).

**6. თირკმელი.** როგორც საკვლევი, ისე საკონტროლო ჯგუფის ცხოველების თირკმელი დაფარულია თხელი, შემაერთებელქსოვილოვანი კაფსულით, რომელიც ადვილად სცილდება თირკმლის სხეულს. განაკვეთზე უფრო მუქი და მარცვლოვანი ქერქოვანი შრისგან განსხვავებით, ტვინოვანი ნივთიერება უფრო ღია ფერისაა, აქვს დახაზული შესახედაობა. თირკმლის სხეულაკების ბოუმენის კაფსულის ღრუში

ჩანს პროვიზორული შარდის საშუალო რაოდენობა. ე.ი. თირკმლის როგორც მაკრო, ისე მიკროსტრუქტურა შენარჩუნებულია, იგი პრაქტიკულად არ განსხვავდება ნორმისგან და მასში პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნება.

**დასკვნა.** ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში ჭაბურღილიდან მიღებული მინერალური წყლის აბაზანების სამკვირიანი აპლიკაცია ექსპერიმენტული ცხოველების საყლაპავში, კუჭში, თორმეტგოჯა ნაწლავში, ღვიძლსა და თირკმელში არ იწვევს როგორც მაკროსკოპულ, ასევე მიკროსკოპულ ცვლილებებს, ხოლო კანში იგი ახდენს ბუნებრივად მიმდინარე პროცესების (ეპიდერმისის კერატინიზაცია და დესქვამაცია, ქონის ჯირკვლების მომწიფება) ინტენსიფიკაციას, რაც ხელს უწყობს კანის განახლების დაჩქარებას. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მინერალური წყლის აბაზანები შინაგან ორგანოებში არაავიოთარ ცვლილებებს არ იწვევს და იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული.

**საკვანძო სიტყვები:** ვირთაგვი, მინერალური წყალი, ექსპერიმენტი, მორფოლოგია

#### **ლიტერატურა**

1. Зубкова С.М., Михайлик Л.В., Тверскова Н.В. Антиоксидантная активность минеральной воды. //Физиотерапия, бальнеология, реабилитация, 2008. - №1. - С.11-12.
2. Королев Ю.Н., Гениатуллина М.С., Никулина Л.А. - Влияние питьевой минеральной воды и магнитного поля на развитие компенсаторно-приспособительных реакций в семенниках крыс при иммобилизационном стрессе // Вопросы курортологии, физиотерапии и лечебной физической культуры. - 2013. - № 5. - С. 6-9.
3. Фарфшук Н.Ф., Теленкова О.Г., Михайлова Р.И. – Роль структурного состояния воды в отношении общей работоспособности крыс и сердечной деятельности лягушек //Материалы конференции X Международного водного форума «Экватек - 2012» при Институте экологии человека и гигиены окружающей среды им. А.Н.Сысина; Москва, 2013. - С. 12-18.

შპს (UDC) 615.838(479.22)

ბ-86

**ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბის ჭაბურღილის მინერალური  
წყლის აბაზანების კანსა და ზოგიერთ ორბანოზე ზემოქმედების  
ექსპერიმენტული კვლევა**

<sup>1</sup>იორამ თარხან-მოურავი, <sup>2</sup>ნინო გორდაძე, <sup>2</sup>ნელი დიდებულიძე, <sup>2</sup>მანანა კაკაბაძე,  
<sup>2</sup>ლევან მეტრეველი, <sup>2</sup>ინგა სიხარულიძე, <sup>2</sup>მთვარისა კორძაია

<sup>1</sup>თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი “თბილისი-SPA”-ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი;

<sup>2</sup>ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ-ს ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი  
თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

ჩატარდა ბორჯომის რაიონის სოფელ ახალდაბაში ჭაბურღილიდან მიღებული მინერალური წყლის აბაზანების ორგანიზმზე ზემოქმედების ექსპერიმენტული კვლევა. გამოკვლეულია სუსტი მინერალიზაციის (M-0,64) კაუმჟავა, ბორიანი, კარბონატულ-სულფატურ ნატრიუმისა და წყლის ზეგავლენა კანის, საყლაპავის, კუჭის, თორმეტგოჯა ნაწლავის, ღვიძლის და თირკმლის ჰისტოლოგიურ სტრუქტურაზე.

ექსპერიმენტი ჩატარდა 20 თეთრ, უჯიშო მამრ ვირთაგვაზე. საცდელი ჯგუფის 10 ვირთაგვა 21 დღის განმავლობაში ღებულობდა  $40\pm 3^{\circ}\text{C}$ -მდე შემთბარი მინერალური წყლის აბაზანას 60 წთ-ით. საკონტროლო ჯგუფის 10 ცხოველი დროის ამავე მონაკვეთში ამავე ტემპერატურის ონკანის წყლის აბაზანას ღებულობდა. ორივე ჯგუფის ცხოველები ცდიდან გამოყვანილი იყო ექსპერიმენტის ბოლოს. პრეპარატების აღწერა და მიკროფოტოების გადაღება მოხდა შუქ-ობიექტურ მიკროსკოპში Ergeval-MF.

ჩვენმა კვლევებმა აჩვენა, რომ მინერალური წყლის აბაზანების სამკვირიანი აპლიკაცია ექსპერიმენტული ცხოველების საყლაპავში, კუჭში, თორმეტგოჯა ნაწლავში, ღვიძლსა და თირკმელში არ იწვევს როგორც მაკროსკოპულ, ასევე მიკროსკოპულ ცვლილებებს, ხოლო კანში იგი ბუნებრივად მიმდინარე პროცესების (ეპიდერმისის კერატინიზაცია და დესქვამაცია, ქონის ჯირკვლების მომწიფება) ინტენსიფიკაციას ახდენს, რაც ხელს უწყობს კანის განახლების დაჩქარებას. მიღებული მონაცემები საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მინერალური წყლის აბაზანები შინაგან ორგანოებში არავითარ ცვლილებებს არ იწვევს და იგი შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული.

УДК (UDC) 615.838 (479.22)

Э-413

**ЭКСПЕРИМЕНТАЛЬНОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ВЛИЯНИЯ ВАНН С МИНЕРАЛЬНОЙ ВОДОЙ ИЗ СКВАЖИНЫ В СЕЛЕ АХАЛДАБА БОРЖОМСКОГО РАЙОНА НА СТРУКТУРУ КОЖИ И НЕКОТОРЫХ ОРГАНОВ**

<sup>1</sup>Тархан-Моурави И.Д., <sup>2</sup>Гордадзе Н.Г., <sup>2</sup>Дидебулидзе Н.А., <sup>2</sup>Какабадзе М.Ш.,  
<sup>2</sup>Метревели Л.А., <sup>2</sup>Сихарулидзе И.Т., <sup>2</sup>Кордзая М.Е.

<sup>1</sup>Тбилисский бальнеологический курорт «Тбилиси – SPA» - Научно-практический центр  
здоровья и медицинской реабилитации

<sup>2</sup>Институт морфологии А. Натишвили при ТГУ им. И. Джавахишвили,  
Тбилиси, Грузия

**Резюме**

Было проведено экспериментальное исследование с целью выявления влияния ванн с минеральной водой из скважины в селе Ахалдаба Боржомского района на организм. Исследовалось влияние слабо минерализованной (М-0.64) кремниево-кислой, борной, карбонатно-сульфатно-натриевой минеральной воды на гистологическую структуру кожи, пищевода, желудка, двенадцатиперстной кишки, печени и почки крыс. Эксперименты проведены на 20 беспородных белых крысах-самцах; 10 подопытных крыс в течение 21-го дня принимали ванны с минеральной водой ( $40 \pm 3^{\circ}\text{C}$ ) длительностью 60 минут ежедневно; 10 животных контрольной группы подвергались такой-же процедуре в водопроводной воде с аналогичной продолжительностью. Животных обеих групп выводили из эксперимента одновременно, после его окончания. Анализ препаратов и съемку микрофотографий производили в световом микроскопе Ergeval-MF. Результаты исследования показали, что трехнедельная аппликация ванн с минеральной водой не вызывает каких-либо изменений в макро- и микроструктуре пищевода, желудка, двенадцатиперстной кишки, печени и почки крыс, а в коже интенсифицирует протекающие в норме процессы (кератинизация и десквамация эпидермиса, созревание желез), способствуя тем самым обновлению кожи. Полученные данные дают возможность резюмировать, что ванны с данной минеральной водой не влияют на внутренние органы и могут применяться в практике.

UDC 615.838(479.22)

E-97

**EXPERIMENTAL INVESTIGATION OF THE INFLUENCE OF BORJOMI DISTRICT  
VILLAGE AKHALDABA BOREHOLE MINERAL WATER BATHS ON THE  
MICROSTRUCTURE OF SKIN AND SOME ORGANS**

<sup>1</sup>Ioram D. Tarkhan-Mouravi, <sup>2</sup>Nino G.Gordadze, <sup>2</sup>Nelly A. Didebulidze,

<sup>2</sup>Levan A. Metreveli, <sup>2</sup>Inga T.Sikharulidze, <sup>2</sup>Manana Sh. Kakabadze, <sup>2</sup>Mtvarisa E.Kordzaia

<sup>1</sup>Tbilisi Balneological Resort “Tbilisi-SPA”, Scientific-Practical Center  
for Health and Medical Rehabilitation. Tbilisi, Georgia

<sup>2</sup>I. Javakhishvili TSU A.Natishvili Institute of Morphology. Tbilisi, Georgia

**Summary**

The investigation of the influence of Borjomi district village Akhaldaba borehole mineral water baths on the organism was conducted on male white rats in order to evaluate the influence of weakly mineralized (M-0.64) silica-acid, boric, carbonate-sulphate-sodium mineral water on the histological structure of skin, esophagus, stomach, duodenum, liver and the kidney. The experiments were conducted on 20 male white mongrel rats. 10 experimental rats were taking the mineral baths ( $T=40\pm 3^{\circ}\text{C}$ ) for 60 minutes every day during three weeks; at the same time 10 animals of control group were taking the baths of tap water. All animals were attempted to breed after experiment; specimen analysis and taking of microphotographs was performed in microscope Ergeval-MF. The data obtained revealed that three-week application of mineral water baths doesn't lead to a change in macro- and microstructure of esophagus, stomach, duodenum, liver and the kidney of rats; and in the skin causes the intensification of natural current processes (epidermis keratinization, desquamation, glands maturation) and promotes the renovation of skin. So, the data obtained allow us to make the conclusion that this mineral water baths have no effect on the internal organs and can be used in practice.

**ჩაის გამომწვნიება მედიცინაში  
(ლიტერატურული მიმოხილვა)**

ნელი კაკულია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის რეაბილიტაციურ მეცნიერებათა დეპარტამენტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულება, საქართველო

ჩაი დიდი ხანია შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურობაში და იმდენად პოპულარულია, რომ თითქმის ყოველი ჩვენგანისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა ჩაის სმა დილას და საღამოს, თანაც თითოეულმა ჩვენგანმა იცის თავისი დოზა - ზოგს მოსწონს სუსტი ჩაი, ზოგს კი - მაგარი.

ჩაისთვის დამახასიათებელია ფიტონციდების ჭარბი რაოდენობა, მათ შემადგენლობაში კი 30-ზე მეტი აქროლადი ალდეჰიდი შედის. ცილების ხარისხობრივი შემცველობით და კვებითი ღირებულებით ჩაის ფოთოლი შეედრება პარკოსან კულტურებს. 17 ამინომჟავა, რომელთაგან ყველაზე ფასეულია გლუტამინის მჟავა, მეზობლობს ისეთ მაკროელემენტებთან, როგორცაა რკინა, მაგნიუმი, ფოსფორი, კალციუმი, კალიუმი, მანგანუმი და მიკროელემენტებთან - სპილენძი, იოდი, ფტორი და ოქრო. ჩაი შეიცავს უამრავ ვიტამინს, პანტოტენის მჟავას. ჩაის ტანინი და კატეხინები დამუშავების შემდეგ იჟანგება და კარგავს სიმწარეს, აქვთ ვიტამინ PP თვისებები და საკუთრივ ტანინი ჩაის სასიამოვნო სიმწკლარტეს აძლევს.

ჩაი შეიცავს დაახლოებით 4%-მდე კოფეინს. ყავისგან განსხვავებით, სადაც იგი საგრძნობლად ნაკლებია, ჩაის კოფეინი რატომდაც არ გვწამლავს ალკალოიდებით. რატომ? ეს იმიტომ, რომ ჩაიში კოფეინი არსებობს ტანინთან შეერთებულ მდგომარეობაში და ადამიანის ორგანიზმში აღწევს თეოფილინთან და თეობრომინთან ერთად. ამიტომაც ჩაის კოფეინი შეიწოვება საგრძნობლად ნელა, ხოლო ორგანიზმიდან კი სწრაფად გამოიდევნება.

ჩაის მოქმედებას შეიძლება ვუწოდოთ კომპლექსური, ვინაიდან მოქმედებს ორგანიზმის ყველა ფიზიოლოგიურ სისტემაზე და, აგრეთვე, აქვს არასპეციფიკური მოქმედებაც, რადგან აუმაჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას, აძლიერებს ორგანიზმის წინააღმდეგობას სხვადასხვა დაავადებების მიმართ.

ჩაის მრავალმხრივი სამკურნალო თვისებები აიხსნება ქიმიური შემადგენლობის მრავალფეროვნებით.

მწვანე ჩაის მოქმედება კარგად არის შესწავლილი კლინიკასა და ექსპერიმენტში. ამ კვლევათა შედეგები გვიჩვენებს, რომ მწვანე ჩაის პერორალური მიღება ორგანიზმზე მანორმალურივლად მოქმედებს შემდეგი დაავადებების დროს:

**ათეროსკლეროზი.** კლინიკური დაკვირვებების მონაცემთა სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მწვანე ჩაის ანტიოქსიდანტურ თვისებებს აქვთ უნარი თავიდან აგვაცილონ ათეროსკლეროზი, განსაკუთრებით გულის კორონარული დაავადება (ადამიანთა დიდი ჯგუფების პოპულაციური კვლევები დროის მონაკვეთში, ან სხვადასხვა კულტურების და კვებითი ჩვევების მქონე ჯგუფების შედარება).

**მაღალი ქოლესტერინი.** კვლევებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაი აქვეითებს ქოლესტერინის საერთო დონეს და ამადლებს მაღალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების (მსლპ) დონეს („კარგი“ ქოლესტერინი) ცხოველებსა და ადამიანებში. კლინიკურმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მამაკაცებს, რომლებიც მიირთმევენ მწვანე ჩაის, ქოლესტერინის უფრო დაბალი დონე აქვთ სისხლში, ვიდრე მამაკაცებს, რომლებიც არ სვამენ მწვანე ჩაის. ცხოველებზე დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ მწვანე ჩაის პოლიფენოლებს შეუძლია მოახდინონ ნაწლავებიდან ქოლესტერინის აბსორბციის ბლოკირება და ხელი შეუწყონ ორგანიზმიდან მის განდევნას. მეორე მცირე მოცულობის გამოკვლევით დადგინდა, რომ მწვეელი მამაკაცების სისხლში მწვანე ჩაის მიღების შემდეგ საგრძნობლად შემცირდა სისხლში მავნე ქოლესტერინის დსპლ-ის დონე.

**კიბო.** კლინიკურმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაი გვიცავს კიბოსგან. კიბოთი დაავადება დაბალია ისეთ ქვეყნებში, მაგალითად, იაპონიაში, რომლებიც ფართოდ მოიხმარენ მწვანე ჩაის. ახალი კლინიკური დაკვირვებები ამტკიცებს, რომ მწვანე ჩაის პოლიფენოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს კიბოს თავიდან აცილებაში. პოლიფენოლები ხელს უწყობს კიბოს უჯრედების განადგურებას და აფერხებს მათ ზრდას.

**შარდის ბუშტის კიბო.** არსებობს მხოლოდ რამდენიმე კვლევა, რომელიც მიძღვნილია შარდის ბუშტის კიბოსა და მწვანე ჩაის მოხმარებას შორის კავშირისადმი. ერთ-ერთი გამოკვლევით დადგინდა, რომ ქალები, რომლებიც სვამდნენ შავ და მწვანე ჩაის, ნაკლებად იყვნენ მიდრეკილნი შარდის ბუშტის კიბოს განვითარებისადმი. იმავე ჯგუფის შემდგომმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ შარდის ბუშტის კიბოს მქონე ავადმყოფებში (განსაკუთრებით მამაკაცებში),

რომლებიც სვამდნენ მწვანე ჩაის, უფრო მაღალი იყო 5-წლიანი სიცოცხლის ხანგრძლივობა, ვიდრე არამსმელებში.

**საკვერცხის კიბო.** ჩინეთში ჩატარებულ იქნა დაკვირვება საკვერცხის კიბოს მქონე ავადმყოფებზე. დადგინდა იქნა, რომ ის ქალები, რომლებიც დღეში ერთ ჭიქა მწვანე ჩაის მაინც სვამენ, უფრო მეტ ხანს ცხოვრობენ, ვიდრე ისინი, ვინც საერთოდ არ სვამს მწვანე ჩაის.

**საყლაპავის კიბო.** ცხოველებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის პოლიფენოლები ანელებს საყლაპავის კიბოს უჯრედების ზრდას.

**კუჭუკანა ჯირკვლის კიბო.** ერთ-ერთ მსხვილმასშტაბიან დაკვირვებაში წარმოდგენილი იყო, რომ მწვანე ჩაის მსმელ ადამიანებში, უფრო მეტად ქალებში, კუჭუკანა ჯირკვლის კიბოს შემთხვევები თითქმის ორჯერ ნაკლებია.

**პროსტატის კიბო.** ლაბორატორიული გამოკვლევებით ნათელი გახდა, რომ მწვანე ჩაის ექსტრაქტი თავიდან გვაცილებს პროსტატის კიბოს უჯრედების ზრდას სინჯარაში. ჩინეთის სამხრეთ-აღმოსავლეთში ჩატარებულმა ფართომასშტაბიანმა გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ პროსტატის კიბოს განვითარების რისკი მწვანე ჩაის მიღების სიხშირის, ხანგრძლივობის და რაოდენობის ზრდასთან ერთად შემცირდა. მაგრამ ორივე - შავი და მწვანე ჩაი, ასევე მათი ექსტრაქტები, ასტიმულირებს გენებს, რომლებიც ქიმიოთერაპიის მიმართ უჯრედებს ნაკლებად მგრძობიარეს ხდის. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ის პირები, რომლებიც ქიმიოთერაპიას იტარებენ, არ უნდა სვამდნენ შავ და მწვანე ჩაის (ასევე გამოწვევლილებს მათგან).

**კანის კიბო.** მწვანე ჩაის ძირითადი პოლიფენოლებია ეპიგალოკატეხინი გალატი (EGGG). სამეცნიერო კვლევები გვიჩვენებს, რომ მწვანე ჩაის EGGG-ს და პოლიფენოლებს ახასიათებთ ანთების საწინააღმდეგო და კიბოს საწინააღმდეგო თვისებები, რომლებიც, შესაძლებელია, თავიდან აგვაცილებს კანის კიბოს წარმოქმნას და ზრდას.

**კუჭის კიბო.** ლაბორატორიულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის პოლიფენოლები ანელებს კუჭის კიბოს უჯრედების ზრდას სინჯარაში.

**ნაწლავების ანთებითი დაავადებები.** მწვანე ჩაის შეუძლია შეამციროს ანთებითი მდგომარეობა ნაწლავებში კრონის დაავადებისა და წყლულოვანი კოლიტის დროს. თუ დადგინდება, რომ მწვანე ჩაი სასარგებლო იქნება მსხვილი ნაწლავის კიბოს პრევენციისთვის, ეს იქნება დამატებითი უპირატესობა ნაწლავების ანთებითი დაავადებების მქონე პირთათვის, ვინაიდან ისინი იმყოფებიან მსხვილი ნაწლავის კიბოთი დაავადების რისკის ქვეშ.

**შაქრიანი დიაბეტი.** მწვანე ჩაი ტრადიციულად ორგანიზმის სისხლში შაქრის კონტროლისთვის გამოიყენებოდა. ცხოველებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის შეუძლია დიაბეტის I ტიპის განვითარების ან მისი პროგრესირების შეჩერება. დიაბეტის I ტიპის მქონე ავადმყოფების ორგანიზმში ან არ გამომუშავდება, ან მცირე რაოდენობით გამომუშავდება ჰორმონი ინსულინი, რომელიც აუცილებელია გლუკოზის (შაქრის), სახამებლის და სხვა ნახშირწყლების გადასაყვანად ენერჯიაში, რომელიც აუცილებელია ყოველდღიური ცხოვრებისთვის. მწვანე ჩაის კი ორგანიზმში შეუძლია გლუკოზის რეგულაცია.

**ღვიძლის დაავადებები.** კლინიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მამაკაცები, რომლებიც დღეში 10 ჭიქამდე მწვანე ჩაის მიირთმევენ, ნაკლებად მიდრეკილნი არიან ღვიძლის ფუნქციების დარღვევისადმი. მწვანე ჩაი ასევე იცავს ღვიძლს ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედებისგან, ისეთისგან, როგორცაა ალკოჰოლი. ცხოველებზე ჩატარებულმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის შეუძლია თავგები ღვიძლის სიმსივნის განვითარებისგან დაიცვას.

ცხოველებსა და ადამიანებზე ჩატარებულმა რამდენიმე კვლევამ გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის პოლიფენოლებში არსებულმა კატეხინმა შეიძლება დახმარება გაგვიწიოს ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობის საქმეში. ამ გამოკვლევებში მწვანე ჩაიდან გამოიყო კატეხინი, რომელიც გამოიყენება ძალიან დიდ კონცენტრაციებში, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხიც დასაზუსტებელია.

**წონის დაკლება.** კლინიკურმა დაკვირვებებმა გვიჩვენა, რომ მწვანე ჩაის ექსტრაქტს შეუძლია გააძლიეროს მეტაბოლიზმი და ხელი შეუწყოს ცხიმების წვას. ერთ-ერთმა დაკვირვებამ დაამტკიცა, რომ მწვანე ჩაის და კოფეინის შეხამებამ გააადვილა წონის დაკლება და წონის შენარჩუნება ჭარბი წონის და ზომიერი სიმსუქნის მქონე პირებში. ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ მწვანე ჩაის შემადგენელი პოლიფენოლები, კერძოდ კი კატეხინები, მონაწილეობას ღებულობს ცხიმოვანი ცვლის პროცესებში და აჩქარებს ლიპიდების წვას.

**გამოყენების სხვა სახეები.** მცირე კლინიკურ კვლევებში გამოვლინდა მწვანე ჩაის ეფექტურობა კარიესის დროს. ამის დასადასტურებლად საჭიროა დამატებითი კვლევები. მწვანე ჩაი შესაძლებელია სასარგებლო იყოს ართრიტების დროსაც. კვლევებმა ცხადყო, რომ მწვანე ჩაის შეუძლია შეამციროს ხრტილის ანთების და მისი განღვევის პროცესი. მწვანე ჩაის ქიმიური ნივთიერებები შეიძლება ეფექტური იყოს წვეტიანი კონდილომების მკურნალობისას, გაცივების და გრიპის სიმპტომების თავიდან ასაცილებლად.

მწვანე, შავი და ულუნ ჩაი მიიღება მცენარე სინენსის კამელიის ფოთლებისგან. ეს მცენარე იზრდება მოზრდილი ბუჩქის და ხის სახით. თავდაპირველად იგი აღმოსავლეთ აზიაში იყო გავრცელებული, დღეისთვის იზრდება მთლიანად აზიასა და აფრიკაში.

აზიის ქვეყნებში ძირითადად გამოიყენება მწვანე ჩაი, ხოლო შავი ჩაი ყველაზე პოპულარულია შეერთებულ შტატებში, ევროპასა და საქართველოში.

**დასკვნები.** მწვანე ჩაის პერორალური მიღება (დალევა) მანორმალიზებლად მოქმედებს ათეროსკლეროზის, კიბოს ზოგიერთ ფორმის, ნაწლავებში ანთებითი პროცესების, შაქრიანი დიაბეტის და ღვიძლის დაავადებების მქონე ავადმყოფებზე. მისი მიღება ამცირებს ქოლესტეროლის შემცველობას სისხლში და აქვეითებს ადამიანის წონას.

**საკვანძო სიტყვები:** ჩაი, კიბო, შაქრიანი დიაბეტი, ღვიძლი

**ლიტერატურა:**

1. Balch J.E., Balch P.A. Prescription for nutritional healing. - New-York: Garden City Park, 2002. - 352 p.
2. Ball A.E. The Tea. - Philadelphia: Lippincott company, 2009. - 284 p.
3. Pizzorno J.E., Murray M.T. A Textbook of Natural Medicine. – Seattle: W.A. John Bastyr College Publication, 1998. - 526 p.
4. Малахов Г.П. Чай. - Спб.: Питер, 1998. - 224 с.

**უპკ (UDC) 615.322:633.72**

**კ-179**

**ჩაის ბამოყენება მედიცინაში**

**(ლიტერატურის მიმოხილვა)**

ნელი კაკულია

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის რეაბილიტაციურ მეცნიერებათა დეპარტამენტის კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის მიმართულება, საქართველო

**რეზიუმე**

მწვანე ჩაის პერორალური მიღება (დალევა) მანორმალიზებლად მოქმედებს ათეროსკლეროზის, კიბოს ზოგიერთ ფორმის, ნაწლავებში ანთებითი პროცესების, შაქრიანი დიაბეტის და ღვიძლის დაავადებების მქონე ავადმყოფებზე; იგი ამცირებს ქოლესტეროლის შემცველობას სისხლში და აქვეითებს ადამიანის წონას.

**УДК (UDC) 615.322:633.72**

**К-168**

**ПРИМЕНЕНИЕ ЧАЯ В МЕДИЦИНЕ**

**(ОБЗОР ЛИТЕРАТУРЫ)**

Какулия Н.К.

Направление курортологии и физиотерапии департамента реабилитационной науки  
Тбилисского государственного медицинского института, Грузия

**Резюме**

Пероральный прием (питье) зеленого чая нормализующе действует на больных, страдающих атеросклерозом, некоторыми формами рака, воспалительными патологиями кишечника, сахарным диабетом и заболеваниями печени; уменьшает содержание холестерина в крови и снижает вес человека.

**UDC 615.322:633.72**

**К-11**

**USE OF TEA IN MEDICINE**

**(REVIEW OF LITERATURE)**

Nelly A. Kakulia

Health Resort Managing and Physiotherapeutic Approach of Department Rehabilitation Sciences  
of Physical Medicine and Rehabilitation Faculty of Tbilisi State Medical University, Georgia

**Summary**

Peroral drinking of green tea has a normalizing influence on atherosclerosis, some forms of cancer, inflammatory diseases of intestines, diabetes mellitus and liver pathologies; intake of tea lowers cholesterol content in blood and promotes the weight loss in humans.

**შპს (UDC) 615.83**

**პ-658**

**პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებზე კარიკაზიმის  
ელექტროფორეზით სამედიცინო რეაბილიტაციის ზემოქმედება**

ნიკოლოზ სააკაშვილი, ზურაბ ქემოკლიძე, იორამ თარხან-მოურავი,  
ნელი კაკულია, მანანა ტაბიძე, ირმა კვინიკაძე, ნინო კვინიკაძე, ნანა გურგენიძე  
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი SPA“- ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი,  
თბილისი, საქართველო

**შესავალი.** პოსტდისკექტომიური სინდრომი ფართოდ გავრცელებული პათოლოგიური მდგომარეობაა, რომელიც ვითარდება მალთაშუა დისკის თიაქრის გამო ნაოპერაციევ ავადმყოფთა 30-50%-ში [6, 9].

ლიტერატურის მონაცემების თანახმად, მსოფლიოში ყოველწლიურად 100.000 მოსახლეზე ტარდება მალთაშუა დისკის თიაქრის 40-70 ოპერაცია. აღნიშნული პათოლოგიის გამო, აშშ-ში ყოველწლიურად მხოლოდ პუნქციური და ენდოსკოპიური ოპერაციები უტარდება წელიწადში 200.000-ს, ხოლო გერმანიაში– 20.000-ზე მეტ ადამიანს [2, 7, 17].

მალთაშუა დისკის თიაქრის ოპერაციული მკურნალობის გამო, ჰოსპიტალიზაციის სისშირეს მზარდი ხასიათი აქვს. კერძოდ, ამ დაავადების მქონე ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაცია 1989-1990 წლებში გაიზარდა სამჯერ.

მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა მალთაშუა დისკის თიაქარზე უფრო ეფექტური და მცირედ ინვაზიური ოპერაციული ჩარევის ტექნოლოგიები, აღნიშნული პათოლოგიის ამჟამად არსებული ქირურგიული მკურნალობის შედეგები არ აკმაყოფილებს არც პაციენტებს და არც ექიმებს. განმეორებითი ოპერაციების სისშირე მალთაშუა დისკის თიაქრის და პროტრუზიების რეციდივების გამო კი არ მცირდება, არამედ მატულობს. შესაბამისად, აგრეთვე, მნიშვნელოვნად იზრდება პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა რიცხვი [5, 7, 16]. ამ ავადმყოფებს, როგორც წესი, ოპერაციის შემდგომ უახლოეს ან შორეულ პერიოდში აღენიშნებათ პოსტდისკექტომიური სინდრომის განვითარება, რაც გამოწვეულია მალთაშუა დისკის თიაქრის, ეპიდურული ფიბროზების, კუნთოვან-ნაწიბუროვანი და ქერქოვანი ტკივილების რეციდივებით.

პოსტდისკექტომიური სინდრომი ხშირად იწვევს კიდურების ფუნქციის მდგრად და რთულ დარღვევებს, შრომისუნარიანობის ხანგრძლივად დაკარგვას და ადრეულ ინვალიდობას; მოქმედებს ავადმყოფთა არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ მდგომარეობაზეც [13, 14].

ამიტომ, პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა მკურნალობა და სამედიცინო რეაბილიტაცია მნიშვნელოვან სამედიცინო და სოციალურ პროგრამას წარმოადგენს, რომელიც აქტუალურს ხდის აღნიშნული მიზნებისთვის უფრო ეფექტური საშუალებების მოძიების აუცილებლობას.

XX საუკუნის ბოლოს და XXI საუკუნის დასაწყისში ვერტებრო-რევიტოლოგიაში დაიწვეს ფერმენტ კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენება. კარიპაზიმის შემადგენლობაში შედის 3 პროტეოლიზური ფერმენტი (პაპაინი, ქიმოკაინი და პროტეინაზა) და ერთი მუკოლიზური ფერმენტი - ლიზოციმი.

კვლევებით დადგენილია, რომ კარიპაზიმის ელექტროფორეზს გააჩნია გამწოვი მოქმედება. იგი, აგრეთვე, ახდენს ანთების საწინააღმდეგო და ტკივილგამაყუჩებელ ზეგავლენას [8, 15].

კარიპაზიმის ელექტროფორეზის აღნიშნული თვისებებისა და პოსტდისკექტომიური სინდრომის პათოგენეზიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ შეგვესწავლა აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაციისთვის.

**სამუშაოს მიზანი.** პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაციისთვის კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენების მიზანშეწონილობის და მკურნალობის ამ მეთოდის მოქმედების მექანიზმის ზოგიერთი მხარის დადგენა.

#### **მასალა, კვლევის და სამედიცინო რეაბილიტაციის მეთოდები.**

გამოკვლეულია პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე 32 ავადმყოფი, 20-დან 62 წლამდე ასაკში. ოპერაციის შემდგომი პერიოდი იმ ავადმყოფებში, რომლებსაც უნდა ჩატარებოდა სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით, მერყეობდა 1-3 თვის ფარგლებში.

ყველა ავადმყოფს პოსტდისკექტომიური სინდრომი განუვითარდა III და IV წელის მალეებს შორის არსებულ დისკზე ოპერაციული ჩარევის შემდეგ.

ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მონაცემებით, ჩვენს მიერ გამოკვლეულ პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ყველა ავადმყოფს

რეაბილიტაციამდე აღნიშნებოდა შეხორცებითი პროცესები და ფიზიოლოგიური ეპიდურიტი ნაოპერაციებ ნაწილში.

სამედიცინო რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ, დილით, უზმოზე ავადმყოფებს უტარდებოდათ შემდეგი გამოკვლევები:

ა) კლინიკურ-ნევროლოგიური და ფსიქოლოგიური გამოკვლევა, რომელიც მოიცავს კიდურებში მოძრაობის დარღვევის და მგრძობელობის მოშლის გამოვლენას, მყესის და ძვალ-მყესის ზოგიერთი რეფლექსის და კუნთების მდგომარეობის შესწავლას დაზიანებულ კიდურში; ჩივილების, ცხოვრების ხარისხის, შფოთვის და დეპრესიის გამოსატულობის შეფასებას.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ტკივილის სინდრომის გამოვლენას, მისი გამოსატვის შესწავლას და სამედიცინო რეაბილიტაციით მისი კუპირების ეფექტურობას.

ცხოვრების ხარისხის გამოკვლევის პროცესში პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში დადგენილ იქნა ტკივილის არსებობა და მისი გამოსატვის ხარისხი.

ამ მიზნით გამოყენებულ იქნა Medical Outcomes Study (MOS) Short form Healthy Survey (SF-36) მოკლე ფორმა, რომელიც შემუშავდა J.E. Ware-ის მიერ [18] და მოდიფიცირებულ იქნა ჩვენს მიერ.

კითხვარი MOS-SF-36 მოიცავს 36 შეკითხვას (პუნქტს), რომლებიც ასახავს ჯანმრთელობის 9 სკალას (კონცეფციას).

აღნიშნული კითხვარის ჩვენი მოდიფიკაცია ეხება პოსტდისკექტომიური სინდრომის მიმართებაში MOS-SF-36 მე-9-ე სკალაში გამოყენებული განსაზღვრებების ცვლილებას. ამ სკალებს ეკუთვნის:

1. ფიზიკური ფუნქციონის სკალა (PF - Physical Functioning), რომელიც შედგება 10 კითხვისგან (პუნქტისგან) და გამოხატავს იმ შესაძლებლობებს, როდესაც ავადმყოფს შეუძლია შეასრულოს იგივე მოცულობის სამუშაო, რომელსაც იგი საშუალოდ ასრულებდა მალთაშუა თიაქარის განვითარებამდე.

2. ცხოველქმედების შემზღუდავი ფიზიკური ფაქტორების როლის სკალა (PF - Physical Functioning) შეიცავს 4 კითხვას (პუნქტს) და გამოხატავს ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს შეასრულოს თავისი პროფესიული საქმიანობა სამსახურში ან სახლის საქმიანობა (პენსიონერებისთვის).

3. ფიზიკური ტკივილის სკალა (BP - Bodily Pain), რომელიც შეიცავს 2 კითხვას (პუნქტს) და გამოხატავს ტკივილის ინტენსივობას.

4. ჯანმრთელობის საერთო შეგრძნების სკალა, რომელიც შეიცავს 5 კითხვას (პუნქტს) და წარმოადგენს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობის სუბიექტურ შეგრძნებას.

5. სიცოცხლისუნარიანობის სკალა (VT - Vitality), რომელიც შეიცავს 4 კითხვას (პუნქტს) და წარმოადგენს ავადმყოფის მიერ საკუთარი გუნება-განწყობის, ენერგიულობის და სასიცოცხლო ძალების სუბიექტურ შეფასებას.

6. სოციალური აქტიურობის სკალა (SF - Social Functioning), რომელიც შეიცავს 6 კითხვას (პუნქტს) და გამოხატავს სხვა ადამიანებთან ავადმყოფის ურთიერთობის ემოციურ და ფიზიკურ უნარს.

7. ცხოველქმედების შემზღუდავი ემოციური ფაქტორების როლის სკალა (RE - Role Emotional), რომელიც შეიცავს 3 კითხვას (პუნქტს) და ახასიათებს ადამიანის ემოციურ უნარს შეასრულოს პროფესიული საქმიანობა ან სახლის საქმიანობა (პენსიონერებისთვის).

8. ფსიქიკური ჯანმრთელობის სკალა (MH - Mental Health), რომელიც შეიცავს 5 კითხვას (პუნქტს) და წარმოადგენს ავადმყოფის მიერ თავისი ემოციური მდგომარეობის სუბიექტურ შეფასებას.

9. წინა წელთან შედარებით, თვითგრძნობის შეფასების სკალა (CH - Change Health), რომელიც შეიცავს 1 კითხვას (პუნქტს). ჩვენს მოდიფიკაციაში ეს სკალა შეცვლილია შემდეგნაირად: ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება სამედიცინო რეაბილიტაციამდე და მის შემდეგ.

ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ეფექტურობის შესაფასებლად გამოყენებული იყო ჩვენ მიერ მოდიფიცირებული ტკივილის ინდექსი [10].

სამედიცინო რეაბილიტაციამდე ტკივილის ინდექსი გამოითვლებოდა ოთხი მაჩვენებლის: ტკივილის ლოკალიზაციის, მისი ხანგრძლივობის, შრომისუნარიანობის შეზღუდვაზე მოქმედების და დასვენების აქტიურად გატარების საშუალების შეფასების ქულების გადამრავლებით.

„ტკივილის ლოკალიზაციის“ მაჩვენებელი გულისხმობს მის არსებობას ზურგის არეში, ერთ ან ორივე კიდურში. მინიმალური ქულა ამ მაჩვენებლით – 1 (ტკივილის არსებობა ერთ-ერთ დასახელებულ უბანში), მაქსიმალური – 3 (ტკივილის არსებობა ყველა ჩამოთვლილ უბანში).

ტკივილის ხანგრძლივობის ქულებით შეფასება შეიძლება იყოს 1 ან 2, იმის მიხედვით, გრძელდებოდა თუ არა ტკივილი 20 ან მეტი დღე, რეაბილიტაციის დაწყებამდე, თუ გრძელდებოდა - 2 ქულა, თუ არა - 1 ქულა.

შრომისუნარიანობის შეზღუდვა ტკივილის გამო ფასდება შემდეგნაირად: არა - 1 ქულა, კი - 2 ქულა. ანალოგიურად ფასდება მოძრაობის აქტიურობის შემცირება (არა - 1 ქულა, კი - 2 ქულა).

ამგვარად, ტკივილის ინდექსის მინიმალური მნიშვნელობა რეაბილიტაციამდე შეადგენს  $1 \times 1 \times 1 = 1$  ქულას, მაქსიმალური -  $3 \times 2 \times 2 = 24$  ქულას.

რეაბილიტაციის შემდეგ ტკივილის ინდექსი გამოითვლებოდა ზემოხსენებული მაჩვენებლების გამრავლებით, თუმცა ტკივილის ლოკალიზაცია და ხანგრძლივობა გამოითვლება მკურნალობის ბოლო 5 დღის განმავლობაში. ტკივილის ინდექსის მინიმალური მნიშვნელობა რეაბილიტაციის შემდეგ არის  $1 \times 1 \times 1 = 1$  ქულა, მაქსიმალური -  $3 \times 2 \times 2 = 24$  ქულა.

დეპრესიის გამოხატულება განისაზღვრებოდა დეპრესიის გამოხატულების ხარისხის შეფასებით ჰამილტონის სკალის მიხედვით (Hamilton Depression Rating Scale) შემდეგი გრადაციებით: 0-7 ქულა - ნორმა (დეპრესია არ არის); 8-13 - მსუბუქი დეპრესიული დარღვევები; 14-18 - საშუალო სიმძიმის დეპრესიული დარღვევები; 19-22 - მძიმე დეპრესიული დარღვევები; 23 და მეტი - უკიდურესად მძიმე დეპრესიული დარღვევები [12].

შფოთვის გამოხატულება განისაზღვრებოდა შფოთვის გამოხატულების ხარისხის შეფასებით ჰამილტონის სკალის მიხედვით (Hamilton Anxiety Rating Scale) შემდეგი გრადაციებით: 0-7 ქულა - შფოთვის არარსებობა; 8-10 - შფოთვის სიმპტომები; 20-24 - შფოთვის მდგომარეობა; 25 და მეტი ქულა - პანიკური მდგომარეობა [11].

ბ) ბიოქიმიური მაჩვენებლები: „C“-რეაქტიული ცილის, ჰაპტოგლობინის, სეროგლიკოიდების, იონიზირებული კალციუმის და საერთო კალციუმის შემცველობა სისხლის შრატში.

„C“-რეაქტიული ცილის შემცველობა განისაზღვრებოდა ლატექსტან აგლუტინაციის რეაქციის მეთოდით ფირმა „Humana Gesellschaft für Biochemica und Diagnostica mbH“ (გერმანია) კომერციული ნაკრებით „Humatex CRP“, ჰაპტოგლობინის კარინეკუს მეთოდით, ნ. პანჩენკოს და თანაავტორების მოდიფიკაციით, სეროგლიკოიდების - ტურბოდიმეტრული მეთოდით, საერთო კალციუმის - ტისდალ-კრამერის ტიტრაციული მეთოდით, ხოლო იონიზირებული კალციუმის - იონოსელექტიური ანალიზის მეთოდით აუტონაალიზატორი „Syndchrom EL-1SE“ (ფირმა „Beckman“ აშშ) მეშვეობით.

სისხლის შრატში ჰაპტოგლობინის, სეროგლიკოიდების, საერთო და იონიზირებული კალციუმის შემცველობის განსაზღვრის მეთოდები აღებულ იქნა ბიოქიმიის შესაბამისი სახელმძღვანელოებიდან [1, 3].

20-დან 62 წლამდე ასაკის 25 პრაქტიკულად ჯანმრთელ ადამიანში (11 ქალი, 14 მამაკაცი), ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი მეთოდებით განსაზღვრული იყო წელის მალეში მაქსიმალური დახრის, ცხოვრების ხარისხის, ტკივილის ინდექსის, დეპრესიის და შფოთვის მაჩვენებლების, სეროგლიკოიდების, საერთო და იონიზირებული კალციუმის შემცველობის ნორმები.

რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ გამოკვლეულ ავადმყოფთა მიღებული ციფრობრივი მონაცემები მუშავდებოდა სტატისტიკურად.

#### **რეაბილიტაციის მეთოდიკა:**

პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა რეაბილიტაციისთვის გამოიყენებოდა გაორკაპებული ელექტროდები, რომელთა ფირფიტების ზომები შეადგენდა 3სმx7სმ (21 სმ<sup>2</sup>) და ჰიდროფილური საფენები.

ელექტროდ-ანოდის ფირფიტების ჰიდროფილური საფენები სველდებოდა კარიპაზიმის ხსნარით და ფიქსირდებოდა პარავერტებრალურად ნაოპერაციებში მიდამოში.

კარიპაზიმის ხსნარის მოსამზადებლად აღნიშნული ნივთიერების აქტიურობის 350 პირობით ერთეულს (1 ფლაკონი) ემატებოდა ფიზიოლოგიური ხსნარის 10 მლ და დიმექსიდის 2-3 წვეთი.

გაორკაპებული ელექტროდ-კათოდის ფირფიტების ზომა შეადგენდა 3x7 სმ-ს. ამ ფირფიტების ჰიდროფილური საფენები სველდებოდა ეუფილინის 2.4%-იანი ხსნარის 10 მლ-ით და ფიქსირდებოდა მუცელზე, ელექტროდ-ანოდის საფენების სიმეტრიულად.

დენის ძალა ელექტროფორეზის პროცედურის ჩატარების დროს შეადგენდა 12-15 მა-ს, ხოლო პროცედურის ხანგრძლივობა - 15-20 წუთს. რეაბილიტაციის კურსზე გამოიყენებოდა 18-20 პროცედურა. პროცედურები ტარდებოდა ყოველდღე, კვირა დღეების გარდა.

**მიღებული შედეგების ანალიზი.** ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ კარიპაზიმის ელექტროფორეზით სამედიცინო რეაბილიტაცია პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში იწვევს ნაოპერაციებ მაღლთაშუა დისკის მიდამოში ანთებითი პროცესის შესუსტებას (გაქრობამდეც კი). ეს დადებითი პროცესი ვლინდებოდა პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში, რომელთაც

სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით ჩაუტარდათ, სისხლის შრატში „C“-რეაქტიული ცილის, ჰაპტოგლობინის და სეროგლიკოიდების შემცველობის დაქვეითებით (სრულ ნორმალიზაციამდე) (ცხრილი 1).

ანთებითი პროცესის აღნიშნულ ცვლილებებს მოყვებოდა ნაოპერაციებში მიდამოში არსებული ნაწიბურების და ფიბროზული ეპიდურიტის სიმპტომების შესუსტება (სრულ გაქრობამდე). ეს დადებითი პროცესი ვლინდებოდა შესიების არეს შემცირებით (სრულ გაქრობამდე) ნაოპერაციებში მიდამოში.

ცხრილი 1

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა ბიოქიმიურ მაჩვენებლებზე პოსტდისკეტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში

მაჩვენებლები			
„C“-რეაქტიული ცილის შემცველობა სისხლის შრატში სე/მლ (N – 1.5-5.2 სე/მლ; 2.972 სე/მლ ± 0.2006 სე/მლ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	9.15±0.54
		რეაბილიტაციის შემდეგ	5.73±0.42
	T		4.998
	P		<0.001
ჰაპტოგლობინის შემცველობა სისხლის შრატში, გ/ლ (N – 1.4-2.4 გ/ლ; 1.812 გ/ლ ± 0.052 გ/ლ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	2.907±0.120
		რეაბილიტაციის შემდეგ	2.525±0.108
	T		2.366
	P		<0.02
სეროგლიკოიდების შემცველობა სისხლის შრატში, პირობით ერთეულებში (პ.ე.) (N – 0.16-0.19 პ.ე.;	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	0.235±0.008
		რეაბილიტაციის შემდეგ	0.203±0.007
	T		3.01
	P		<0.01

ნაოპერაციებში მიდამოში ანთებითი პროცესის შესუსტება (გაქრობამდეც კი) იწვევდა ობიექტური კლინიკურ-ნევროლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესებას (სრულ ნორმალიზაციამდე). კერძოდ, სამედიცინო რეაბილიტაციის შემდეგ პოსტდისკეტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში აღინიშნებოდა ლასეგის პათოლოგიური სიმპტომის, ტკივილის სინდრომის, სტატიკურ-დინამიკური დარღვევების და რეფლექტორული სკოლიოზის შესუსტება (გაქრობამდეც კი); ხერხემალში და ქვედა კიდურებში პასიური და აქტიური მოძრაობის მოცულობის მატება; ავადმყოფობის გამო შესუსტებულ კუნთებში ძალის და ტროფიკის ნაწილობრივი ან სრული აღდგენა; ტკივილის ინდექსის დაქვეითება; წელის მალეების მიდამოში მაქსიმალური მოხრის სიდიდის მატება და სხვ. (ცხრილები 2, 3, 4). ობიექტური კლინიკურ-ნევროლოგიური მაჩვენებლების გაუმჯობესება (სრულ

ნორმალიზაციამდე) იმ ავადმყოფებში, რომელთაც რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით ჩაუტარდათ, იწვევდა ჩივილების შესუსტებას (სრულ გაქრობამდეც კი).

ცხრილი 2

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა (n=32) ობიექტურ კლინიკურ-ნევროლოგიურ მაჩვენებლებზე

მაჩვენებელი		ავადმყოფთა რაოდენობა		
		აბსოლუტურ რიცხვებში	%-ში	
1		2	3	
კიდურში (ან კიდურებში) წვივის გაშლის და ბარძაყის მოხრის და მოზიდვის გაძნელება	რეაბილიტაციამდე		28	87.50
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	16	50.00
		შემცირდა	12	37.50
		უცვლელი დარჩა	-	-
კიდურში (ან კიდურებში) ტერფის და მისი დიდი თითის მოხრის გაძნელება	რეაბილიტაციამდე		24	75.00
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	16	50.00
		შემცირდა	6	18.75
		უცვლელი დარჩა	2	6.25
ბარძაყის (ან ბარძაყების) გაშლის გაძნელება	რეაბილიტაციამდე		28	87.50
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	16	50.00
		შემცირდა	12	37.50
		უცვლელი დარჩა	-	-
სიარულის დარღვევა	რეაბილიტაციამდე		32	100.00
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	20	62.50
		შემცირდა	12	37.50
		უცვლელი დარჩა	-	-
ლასეგის დადებითი სიმპტომი	რეაბილიტაციამდე		28	87.50
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	14	43.75
		შემცირდა	12	37.50
		უცვლელი დარჩა	2	6.25
კიდურში (ან კიდურებში) მუხლის რეფლექსის შესუსტება	რეაბილიტაციამდე		24	75.00
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	16	50.0
		შემცირდა	8	25.00
		უცვლელი დარჩა	-	-
კიდურში (ან კიდურებში) ფეხისგულის რეფლექსის შესუსტება	რეაბილიტაციამდე		24	75.00
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	16	50.00
		შემცირდა	8	25.00
		უცვლელი დარჩა	-	-
ბოქვენის შესახსრებიდან რეფლექსის შესუსტება	რეაბილიტაციამდე		16	50.00
	რეაბილიტაციის შემდეგ	გაქრა	8	25.00
		შემცირდა	8	25.00
		უცვლელი დარჩა	-	-

ნაოპერაციებ მიდამოში ანთებითი პროცესის შესუსტება (სრულ გაქრობამდეც კი) და კლინიკურ-ნევროლოგიური მდგომარეობის ნორმალიზაცია ან ნორმალიზაციისკენ ტენდენცია პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში, რომელთაც ჩაუტარდათ სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით, იწვევდა დეპრესიის და შფოთვის შესუსტების და ცხოვრების ხარისხის გამოხატულ გაუმჯობესებას (ცხრილები 5, 6). კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებულმა სამედიცინო რეაბილიტაციამ დადებითი ზეგავლენა მოახდინა ყველა გამოკვლეულ პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფზე.

ცხრილი 3

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა ტკივილის ინდექსზე პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში

მაჩვენებელი			
ტკივილის ინდექსი (N – 1.00 ბალი)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	24.062±4.494
		რეაბილიტაციის შემდეგ	8.375±4.024
	T		2.600
P		<0.01	

ცხრილი 4

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა წელის ნაწილში მაქსიმალური მოხრის სიდიდეზე პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში

მაჩვენებელი			
ხერხემლის წელის ნაწილში მაქსიმალური მოხრის სიდიდე (N – 14.70-18.60 მმ; 16.296 მმ ± 0.224 მმ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	10.125±2.872
		რეაბილიტაციის შემდეგ	19.250±2.489
	T		2.401
P		<0.02	

ცხრილი 5

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა დეპრესიის და შფოთვის გამოხატულებაზე პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში

მაჩვენებელი			
დეპრესიის გამოხატულება ბალებში (ბ) (N - 1-4 ბ; 2.00 ბ ± 0.862 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	10.250±0.969
		რეაბილიტაციის შემდეგ	6.750±0.860
	T		2.701
P		<0.01	
შფოთვის გამოხატულება ბალებში (ბ) (N - 1-7 ბ; 2.76 ბ ± 0.342 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე	14.375±1.738
		რეაბილიტაციის შემდეგ	8.250±1.750
	T		2.503
P		<0.02	

კარიპაზიმის ელექტროფორეზის გამოყენებით ჩატარებული სამედიცინო რეაბილიტაციის ზეგავლენა ცხოვრების ხარისხის მაჩვენებლებზე პოსტდისკეტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში

მაჩვენებლები			
ფიზიკური ფუნქციონალობა (PF), ბალებში (ბ) (N-96-100 ბ; 98.28 ბ ± 0.339 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	54.375±7.497 83.656±6.736
	T		2.905
	P		<0.01
ცხოველქმედების შემზღუდავი ფიზიკური ფაქტორების როლი (RF), ბალებში (ბ) (N-82-90 ბ; 86.24 ბ ± 0.600 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	25.375±13.429 76.406±12.309
	T		2.803
	P		<0.01
ფიზიკური ტკივილი (BP), ბალებში (ბ) (N-82-90 ბ; 86.80 ბ ± 0.404 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	43.750±8.505 72.437±7.699
	T		2.500
	P		<0.02
ჯანმრთელობის საერთო შეგრძობა (GH), ბალებში (ბ) (N-70-80 ბ; 75.680 ბ ± 0.618 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	40.781±6.758 64.375±6.054
	T		2.600
	P		< 0.01
სიცოცხლისუნარიანობა (VT), ბალებში (ბ) (N-64-75 ბ; 69.560 ბ ± 0.605 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	41.562±6.020 61.437±5.530
	T		2.431
	P		<0.02
სოციალური აქტიურობა (SF), ბალებში (ბ) (N-75-85 ბ; 80.120 ბ ± 0.681 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	55.625±4.127 70.375±3.886
	T		2.602
	P		< 0.01
ცხოველქმედების შემზღუდავი ემოციური ფაქტორების როლი (RE-Role), ბალებში (ბ) (N-78-86 ბ; 81.760 ბ ± 0.429 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	36.875±4.917 52.500±4.266
	T		2.400
	P		< 0.02
ფსიქიკური ჯანმრთელობა (MH), ბალებში (ბ) (N-66-74 ბ; 70.240 ბ ± 0.477 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	50.312±4.927 64.687±4.289
	T		2.200
	P		< 0.05
წინა წლებთან შედარებით, თვითგრძობის შეფასება, ბალებში (ბ) (N-53-62 ბ; 57.600 ბ ± 0.489 ბ)	n		32
	M±m	რეაბილიტაციამდე რეაბილიტაციის შემდეგ	24.062±6.519 49.062±6.099
	T		2.800
	P		< 0.01

## დასკვნები

1. სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში ანთებითი პროცესის შესუსტებას (გაქრობამდე) იწვევს ნაოპერაციებ მაღლაშუა დისკის მიდამოში.
2. პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში ნაოპერაციებ მაღლაშუა დისკის მიდამოში ანთებითი პროცესის შესუსტება იწვევს პაციენტთა კლინიკურ-ნევროლოგიური მდგომარეობის ნორმალიზაციას ან ნორმალიზაციისკენ ტენდენციას, ტკივილის ინდექსის, დეპრესიის და შფოთვის გამოხატულების შესუსტებას (გაქრობამდეც კი) და ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.
3. სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაციის ეფექტური მეთოდია.

**საკვანძო სიტყვები:** პოსტდისკექტომიური სინდრომი, კარიპაზიმი, ელექტროფორეზი, კითხვარი

## ლიტერატურა

1. Данилов И.М. Применение вертеброревитологии при дегенеративно-дистрофических заболеваниях позвоночника - Киев: Здоровья, 2005. - 218 с.
2. Березов Т.Т., Коровин Б.В. Биологическая химия. - М.: Медицина, 1998. - 704 с. 2.
3. Камышников В.С. Справочник по клинико-биохимической лабораторной диагностике. - Т. II. - Минск: Беларусь, 2000. - 463 с.
4. Матвеев В.И., Глущенко А.В. Отдаленные результаты хирургического лечения грыж межпозвоночных дисков поясничного отдела позвоночника // Боль.- 2005. - №3(8). - С. 41-44.
5. Олейник В.Ф. Применение метода вертеброревитологии при лечении дегенеративно-дистрофической патологии позвоночника//Труды Киевской медицинской Академии. - 2006. Т. 56. - С. 17-26.
6. Постдискэктомический синдром /В.И. Матвеев, О.Н. Древаль, Ю.А. Пархименко и др. - Воронеж. - Изд-во Воронежского ГМУ, 2005. - 236 с.
7. Профилактика постдискэктомического синдрома /В.И. Матвеев, А.В. Глущенко, В.П. Зайцев, А.В. Дмитриева//Научно-медицинский вестник Центр.Черноземья 2007. №30. С. 56-59
8. Способ лечения дегенеративно-дистрофических заболеваний опорно-двигательного аппарата и посттравматических спаечных процессов/ О.В. Вейдик, Л.О. Саркисян, П.В. Глыбочко и др.// Описание изобретения к патенту RU 2299733 С1. - Реестр Российских патентов. - Саратов: Изд-во Саратовского ГМУ, 2006. - 7 с.
9. Andersson G.B.J., Mekhail N.A., Block J.E. Treatment of intractable discogenic low back pain. A systematic review of spinal fusion and intradiscal electrothermal therapy (IDED) //Pain Physician. - 2006. - Vol. 9. - №3. - P. 237-248.
10. Comparison of two physical exercise programs for the early intervention of pain in the neck, shoulders and lower back in female hospital staff / L.M. Oldervill, M. Ro, J-A. Zbart, S. Svebak// J. Rehabil. Med. - 2001. - Vol. 33. - P. 151-161.

11. Hamilton M. The assessment of anxiety states //Br. J. Med. Psychol. - 1959. - Vol. 32. - P. 50-55
12. Hamilton M. Development of a rating scale for primary depressive illness// Br. J. Soc. Clin. Psychol. - 1967. - №6. - P. 278-296.
13. Maigne R. Diagnosis and treatment of failed back surgery syndrome. - Baltimore:Williams & Wilkins, 2011. - 224 p.
14. Prevertebral soft tissue swelling after anterior cervical discectomy and fusion with plate fixation /K.-S. Suk, K.-T. Kim, S.-H. Lee et al.//Unt. orthop. - 2006. - Vol. 30 - №4. - P. 290-294
15. Rukhadze M., Modu M., Lezhava Sh. Management of physical rehabilitation in patients with osteochondrosis of spine //Modern aspects of rehabilitation in medicine. - Materials of international conference. - Yerevan, 2013. - P. 209.
16. The relation between serum levels of osteoprotegerin and postoperative epidural fibrosis in patients who underwent surgery for lumbar disc herniation / O. Sen, A. Gokcel, O. Kizilkilic et al. //Nerol. Res. - 2005. - Vol. 27. - P. 452-455.
17. Thoracolumbar approach in a single procedure: long-term follow up// G. Bollini, P-L. Docquier, E. Wieghweger et al. //Spine. - 2006. - Vol. 31. - №15. - P. 1745-1757.
18. Ware J.E. Health Survey: Manual and interpretation guide. Boston: Nimrod Press, 1993-192 p

**შაკ (UDC) 615.83**

**პ-658**

**პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებზე  
კარიპაზიმის ელექტროფორეზით სამედიცინო  
რეაბილიტაციის ზემოქმედება**

ნიკოლოზ სააკაშვილი, ზურაბ ქემოკლიძე, იორამ თარხან-მოურავი,  
ნელი კაკულია, მანანა ტაბიძე, ირმა კვინიკაძე, ნინო კვინიკაძე, ნანა გურგენიძე  
თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი SPA“- ჯანმრთელობისა და  
სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი,  
თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

გამოკვლეულია პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე 32 ავადმყოფი. დადგინდა, რომ სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში ანთებითი პროცესის შესუსტებას (გაქრობამდე) იწვევს ნაოპერაციებ მაღთაშუა დისკის მიდამოში. პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფებში ნაოპერაციებ მაღთაშუა დისკის მიდამოში ანთებითი პროცესის შესუსტება იწვევს პაციენტთა კლინიკურ-ნევროლოგიური მდგომარეობის ნორმალიზაციას ან ნორმალიზაციისკენ ტენდენციას, ტკივილის ინდექსის, დეპრესიის და შფოთვის გამოხატულების შესუსტებას (გაქრობამდეც კი) და ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან

გაუმჯობესებას. დადგინდა, რომ სამედიცინო რეაბილიტაცია კარიპაზიმის ელექტროფორეზით პოსტდისკექტომიური სინდრომის მქონე ავადმყოფთა სამედიცინო რეაბილიტაციის ეფექტური მეთოდია.

**УДК (UDC) 615.83**

**B-586**

**ВЛИЯНИЕ МЕДИЦИНСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ  
ЭЛЕКТРОФЕРЕЗА КАРИПАЗИМА НА БОЛЬНЫХ  
ПОСТДИСКЭКТОМИЧЕСКИМ СИНДРОМОМ**

Саакашвили Н.М., Кемоклидзе З. С., Тархан-Моурავი И.Д., Какулия Н.А.,

Табидзе М.Ш., Квиникадзе И.Р., Квиникадзе Н.Р., Гургенидзе Н.Г.

Тбилисский бальнеологический курорт «Тбилиси – SPA» - Научно-практический центр  
здоровья и медицинской реабилитации. Тбилиси, Грузия

**Резюме**

Обследовано 32 больных с постдискэктомическим синдромом. У всех больных постдискэктомический синдром развился после операционного вмешательства на диске между III и IV поясничными позвонками.

Было установлено, что медицинская реабилитация с использованием карипазима вызывает у больных с постдискэктомическим синдромом ослабление, вплоть до исчезновения, воспалительного процесса в прооперированном очаге.

Ослабление воспалительного процесса в области прооперированного межпозвоночного диска вызывало у больных постдискэктомическим синдромом нормализацию или тенденцию к нормализации клинико-неврологического состояния, уменьшение индекса боли и выраженности депрессии и тревоги; значительно улучшало качество жизни. Было установлено, что медицинская реабилитация электрофорезом карипазима - эффективный метод медицинской реабилитации больных с постдискэктомическим синдромом.

**UDC 615.83**

**I-60**

**INFLUENCE OF MEDICAL REHABILITATION USING KARIPAZIM  
ELECTROPHORESIS ON PATIENTS WITH POST-DISCECTOMY SYNDROME**

Nikoloz M.Saakashvili, Zurab S. Kemoklidze, Ioram D.Tarkhan-Mouravi, Nelly A.Kakulia,

Manana Sh.Tabidze, Irma R.Kvinikadze, Nino R.Kvinikadze, Nana G. Gurgenidze

Tbilisi Balneological Resort "Tbilisi SPA" - Health and Medical Rehabilitation

National Research-Practical Center, Tbilisi, Georgia

**Summary**

Thirty-two patients with post-discectomy syndrome were examined. All patients developed post-discectomy syndrome after surgical intervention on the disc between III and IV lumbar vertebrae.

It was found that medical rehabilitation using karipazim causes weakening (up to even disappearance) of inflammatory process in the operated focus in patients with post-discectomy syndrome.

The weakening of the inflammatory process in the operated intervertebral disc of patients with post-discectomy syndrome caused normalization, or tendency to normalization of clinical and neurological condition, reduction in pain index and in severity of depression and anxiety; it significantly improved the quality of life. It was found that medical rehabilitation using karipazim electrophoresis is an effective method for the rehabilitation of patients with post-discectomy syndrome.

შპს (UDC) 616-003.93

ჯ-224

**მხრის იმპინჯმენტ-სინდრომის ფიზიოპური რეაბილიტაციის ალგორითმი**

იოსებ ჯანკარაშვილი, მანანა რუხაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; კლინიკა “მედსი”

თბილისი, საქართველო

მხრის იმპინჯმენტ-სინდრომი წარმოადგენს მხრის ძვლის თავსა და მის ზემოთ მდებარე სტრუქტურებს (ბეჭის ძვლის აკრომიალური წანაზარადი, ლავიწ-აკრომიალური სახსარი, ნისკარტისებრ-აკრომიალური იოგი) შორის მოთავსებულ რბილ ქსოვილებში განვითარებულ პათოლოგიურ ცვლილებათა კომპლექსს. მხრის ძვლის თავსა და აკრომიონის ქვედა ზედაპირს შორის (ინგლ. “To impinge“ ნიშნავს შეტაკებას) შევიწროვებისას ვითარდება აღნიშნული რბილი ქსოვილების კომპრესია - მათი გაღიზიანება ან დაზიანება.

ამ სინდრომის ფარგლებში უპირატესად აერთიანებენ სამ ძირითად ნოზოლოგიას: მბრუნავი მანუეტის ტენდინიტს, ორთავა კუნთის გრძელი თავის ტენდინიტს და სუბაკრომიალურ ბურსიტს. სხვანაირად მხრის იმპინჯმენტ-სინდრომს უწოდებენ მხრის სახსრის ბურსის და მყესების მტკივნეულ გაღიზიანებას და დეგენერაციას, რომელიც ანატომიურად სუბაკრომიული სივრცის შევიწროვებითაა გამოწვეული.

დაავადების განვითარებას ხელს უწყობს მისი ანატომიური აგებულება (მხრის სახსარი შემოსაზღვრულია ნაწილობრივ ძელოვანი, მაგრამ უპირატესად რბილი ქსოვილებით). გარდა ამისა, მრავალრიცხოვანი ანატომიური კვლევებით დადასტურებულია, რომ დეგენერაციული ცვლილებები ქედზედა კუნთში (ნაწილობრივი ან სრულშროვანი გაწყვეტა) მხრის ძვლის დიდ ბორცვთან მიმაგრების ადგილას, აქვს რა ნამგლისებური ფორმა, 60 წლის ზემოთ ასაკის პაციენტებში ვითარდება თითქმის 100% შემთხვევაში [4, 9]. ეს უკანასკნელი ხელს უწყობს უმნიშვნელო ტრავმის ზემოქმედებით მხრის ძვლის თავის დეცენტრირება და სახსარში ქვეამოვარდნილობა განვითარდეს [2, 4].

სუბაკრომიალური სივრცის შევიწროვების ყველაზე ხშირ მიზეზად ითვლება აკრომიონის რკალისებრი ან კაუჭისებრივი ფორმა/დეფორმაცია. ბიგლიანიმ (Bigliani) აღწერა აკრომიონის სამი ტიპი: I ტიპი - ნორმალური ფორმის აკრომიონი, II ტიპი - რკალისებრი აკრომიონი და III ტიპი - კაუჭისებრი აკრომიონი. აკრომიონის ფორმის

გარდა, ნისკარტისებრ-აკრომიალური იოგის (lig. coracromiale) ოსიფიკაციამ ან აკრომეოკლავიკულარული სახსრის ართროზმაც შეიძლება გამოიწვიოს სუბაკრომიული სივრცის შევიწროვება. ასეთი იმპინჯმენტის სინდრომს უწოდებენ outlet იმპინჯმენტს. თუ სუბაკრომიალური სივრცის შევიწროვება სხვა მიზეზითაა გამოწვეული, მაგალითად, სუპრასპინატუს მყესის შეშუპებით ან ბურსის ჰიპერტროფიით, მას non-outlet იმპინჯმენტი ეწოდება.

მხრის იმპინჯმენტ სინდრომით ავადდებიან საშუალო ხნის (40 წლის ზემოთ) ადამიანები [2, 5-7], რომლებიც პროფესიული ან სხვა მიზეზით მხრის სახსარზე, კერძოდ თავს ზემოთ, იღებენ ჭარბ ფიზიკურ დატვირთვას [10, 13]. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან მშენებლები და გარკვეული ჯგუფის სპორტსმენები - ჩოგბურთელები, მოცურავეები, კალათბურთელები, ხელბურთელები და სხვები. მხრის იმპინჯმენტ-სინდრომი შესაძლოა განვითარდეს კონკრეტული ხილული მიზეზის გარეშეც.

ცნობილია, რომ ზოგადად რევმატოლოგთან პაციენტთა მომართვიანობის 59%-ს შეადგენს სახსრის გარეთა რბილი ქსოვილების დაზიანებები [1]. სტატისტიკიდან ცნობილია, რომ გერმანიის მოსახლეობის დაახლოებით 10%-ს უვლინდებათ მხრის იმპინჯმენტ-სინდრომი, უმეტესად 40-50 წლის ზემოთ ასაკში, პროცენტულად თანაბრად მამაკაცებსა და ქალებში.

ნერმა (Neer) აღწერა მხრის იმპინჯმენტ-სინდრომის სამი სტადია:

I სტადიას ახასიათებს სუბაკრომიალური ბურსის შეშუპება და ჰემორაგია, უმეტესად დამახასიათებელია 25 წლის და უფრო ახალგაზრდა პაციენტებისთვის. ამ სტადიაში კონსერვატიულ თერაპიას კარგი შედეგები აქვს.

II სტადიას ახასიათებს ბურსის ტენდინიტი და ფიბროზი, გვხვდება 25-40 წლის პაციენტებში.

III სტადიას ახასიათებს როტატორების სარტყელის და ორთავა კუნთის მყესის რუბტურა და გვხვდება 40 წლის და ზემოთ ასაკის პაციენტებში.

იმპინჯმენტ-სინდრომის მკურნალობის თანამედროვე მეთოდებია: მედიკამენტური მკურნალობა - არასტეროიდული ანტიანთებითი პრეპარატებით, ორი ან სამი სუბაკრომიალური ინფილტრაცია ლოკალური ანესთეტიკით და კორტიკოსტეროიდით (ორკვირიანი პაუზით ინფილტრაციებს შორის), ელექტროფორეზი ან ფონოფორეზი არასტეროიდებით, ბალნეოთერაპია (სითბოთი ან სიცივით), პასიური და აქტიური სამკურნალო ვარჯიშები, აგრეთვე ქირურგიული ოპერაცია, როგორც არჩევის მეთოდი. კონსერვატიული მკურნალობისას ყველაზე

გავრცელებულია არასტეროიდული პრეპარატების გამოყენება და სახსრის ირგვლივ ბლოკადა (ინფილტრაცია) ჰორმონით [6, 7]. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ასეპტიკური ანთებითი პროცესის აღაგება ხანმოკლე მედიკამენტური თერაპიით დროებით ხასიათს ატარებს [2, 11], ხოლო მისმა ხანგრძლივმა გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ართროპათია - მხრის სახსრის ირგვლივ რბილი ქსოვილების ცხიმოვანი დისტროფია და შეუქცევადი ცვლილებები სასახსრე ხრტილში [5, 6, 8]. თუ გლუკოკორტიკოსტეროიდი მყესის სისქეში შევა, მაშინ დეგენერაციული პროცესები შესაძლოა გაძლიერდეს კიდევ [12].

**შრომის მიზანია** კომპლექსური ფიზიკური რეაბილიტაციის მეთოდების ალგორითმის ეფექტურობის დადგენა მხრის იმპინჯმენტ-სინდრომის დროს.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ორივე სქესის 16 პაციენტი 59-71 წლის ასაკში. პაციენტებს უტარდებოდათ: კლინიკური გამოკვლევები დინამიკაში, რენტგენოგრაფია პირდაპირ და ეპსილონ პროექციაში, მხრის სახსრის ულტრასონოგრაფია რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ. რეაბილიტაცია ჩატარდათ ჩვენ მიერ შემუშავებული ფიზიკური მეთოდების შემდეგი ალგორითმით: ელექტროფორეზი კარიპაზიმით მხრის სახსრის ირგვლივ გარდიგარდმო მეთოდით - 20-25 პროცედურა. კარიპაზიმი წარმოადგენს მცენარეული წარმოშობის პრეოლიზურ ფერმენტს, რომელიც მიმართულია ანტიანთებით და გამწოვ ზემოქმედებაზე. ელექტროფორეზის მე-7-8 პროცედურიდან ტარდება ფონოფორეზი ვოლტარენით და ქონდროქსილით (10-15 პროცედურა) და სპეციალური ვარჯიშები 15-20 დღის განმავლობაში (და უფრო ხანგრძლივადაც), მიმართული მხრის ძვლის თავსა და აკრომიონის ქვედა ზედაპირს შორის არსებული სივრცის გაფართოებაზე და მხრის სარტყლის კუნთების განვითარება-გაძლიერებაზე.

მხრის სახსრის რენტგენოლოგიური გამოკვლევები 8 პაციენტს ჩატარდა პირდაპირ პროექციაში, ხოლო დანარჩენ 8 პაციენტს - ეპსილონ პროექციაში. ლიტერატურის მონაცემებით, ეს უკანასკნელი უფრო ინფორმატიულია, რადგან სუბაკრომიული სივრცის შევიწროვება ფიქსირდება ეპსილონ პროექციაში მაშინაც კი, როცა პირდაპირ პროექციაზე ცვლილებები არ ჩანს.

ზემოთ მოყვანილი ალგორითმის მიხედვით ჩატარებული რეაბილიტაციის შედეგები მოცემულია ცხრილში 1. როგორც ცხრილიდან ჩანს, კლინიკური სურათი გაუმჯობესებისკენ შეიცვალა, რაც გამოიხატა უმეტესი კლინიკური სიმპტომების მოსხნაში. რამდენიმე სიმპტომი ხარისხობრივად გაუმჯობესდა, მაგალითად, შემცირდა ტკივილი, მაგრამ ბოლომდე ვერ აღდგა მოძრაობის მოცულობა მხრის

სახსარში, შემცირდა lift off test და Apprehension სიმბტომების გამოვლინების ხარისხი, მაგრამ ბოლომდე არ მოიხსნა. აღნიშნული ცვლილებები დაფიქსირდა მხოლოდ 1 შემთხვევაში, რაც ვერ აისახა სარწმუნობის ხარისხზე, სხვაობა სარწმუნოა მაღალი ხარისხით.

ცხრილი 1

სტატუსის დინამიკა მხრის სახსრის იმპინჯმენტ-სინდრომის რეაბილიტაციის დროს (n=16)

კლინიკური და ფუნქციური პარამეტრები	ტკივილი მოსვენებულ მდგომარეობაში	ტკივილი და მოძრაობის შეზღუდვა	მტკივნეული წერტილები მხრის სახსრის არეში	ფუნქციური ტესტები								
				სელექტიური კუნთების ტესტი						იმპინჯმენტის ტესტები		
				ნეიტრალური აბდუქციის	ნეიტრალური გარე როტაციის	ნეიტრალური შიდა როტაციის	lift-off-ტესტი	ნაპოლეონის სიმბტომი	სუპრსპინატუს ტესტი Jobe-ის მიხედვით	Hawkins and Kennedy ტესტი	Neer-ის ტესტი	Apprehension ტესტი
მკურ-მდე n=16	16	16	14	13	8	8	16	14	12	16	14	16
მკურ-ის შემდეგ n=16	0	1	0	0	0	0	1	0	0	0	0	1
სხვაობა $\chi^2$ -კრიტ.	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001	p<0.001

დადებითი შედეგები მივიღეთ სონოგრაფიული კვლევის მიხედვითაც. დინამიკაში ჩატარებული სონოგრაფიული კვლევის მონაცემებით (ცხრილი 2), აღინიშნა უმეტესი სონოგრაფიული ნიშნებების აღაგება. ნაკლები ცვლილებები განიცადა მაგარ ქსოვილებში არსებულმა პათოლოგიურმა ცვლილებებმა (ოსტეოფიტები). რამდენიმე შემთხვევაში ოსტეოფიტების არსებობისას განმეორებითი კვლევის დასკვნაში აღარ იყო მითითებული მკურნალობამდე არსებული ოსტეოფიტები, რაც მიუთითებს, რომ ჩატარებული მკურნალობისას

შესაძლოა შემცირდა ოსტეოფიტების მოცულობა, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო, რადგან კარიპაზიმი წარმოადგენს ფერმენტს, რომელიც იწვევს ქსოვილების ლიზისს, ანუ მოხდა მაგარი ქსოვილების მოცულობის შემცირება და მცირე ზომის ოსტეოფიტების საერთოდ გაწოვა. აღნიშნული სონოგრაფიული სიმპტომების მოხსნას უკავშირდება კლინიკური სიმპტომების აღაგებაც (ცხრილი 2).

ცხრილი 2

მხრის სახსრის ულტრაბგერითი გამოკვლევები მხრის სახსრის იმპინჯმენტ-სინდრომის რეაბილიტაციის დინამიკაში

ულტრაბგერითი პარამეტრები	ცვლილებები მხრის სახსრის არეში							სუბაკრომიულ-სუბდელტოიდური ბურსიტი	
	მხრის ძვლის კორტიკალურ შრეში (განღვება, არაერთგვაროვანი სტრუქტურა)	ძვლის ჰიალინური ხრტილის შემცირება	სინოვიტი სახსარში	მხრის ორთავა კუნთის გრძელი თავის ტენდონოზიტი	სეროზიული ართროპათია დიდი ბორცვის არეში	ოსტეოფიტები მხრის დიდ ბორცვთან	ოსტეოართრიტი	სეროზული	გაკირული
მკურ-მდე n=16	4	7	5	14	3	8	5	15	4
მკურ-ბის შემდეგ n=14	4	6	0	0	2	8	0	0	4
χ <sup>2</sup> კრიტ.	*	*	p<0,001	p<0,001	*	*	p<0,001	p<0,001	*

ულტრაბგერითი პარამეტრები	დეგენერაციული ცვლილებები მყესებში - ტენდინოპათია (ინტრატენდინური ჰიპერ- და ჰიპოექოგენური ფოკუსები)			ცვლილებები ლავიწ-აკრომიული სახსრის არეში				
	ქედზედა კუნთის მყესში	მხრის ორთავა კუნთის გრძელი თავის მყესში	ბეჭ-ქვეშა კუნთის მყესებში	ნაპარალის შევიწროება	დეგენერაციული ცვლილებები სახსრის სრტილში	კორტიკალური შრის განლკვა	ოსტეოფიტები ძვლის კიდეებზე	ოსტეოფიტები ძვლის კიდეებზე კალცინატი აკრომიონის ქვეშ
მკურ-მდე n=16	9	6	3	12	8	4	8	5
მკურ-ის შემდეგ n=14	8	6	3	2	5	4	7	3
χ <sup>2</sup> კრიტერიუმი	*	*	*	p<0.001	p<0.05	*	*	*

\* ნიშნავს - სხვაობა სარწმუნო არ არის

მიღებული მასალის ანალიზის საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ აღნიშნული 20-25 დღიანი სარეაბილიტაციო კომპლექსის ერთი კურსის ჩატარების შედეგად, 13 პაციენტში (81.25%) მივიღეთ დადებითი სარეაბილიტაციო ეფექტი. 2 შემთხვევაში (12.5%) კლინიკური სიმპტომატიკის გამოვლინების ინტენსივობა შემცირდა, მაგრამ სრულად არ აღაგდა, რისთვისაც მათ ჩაუტარდათ განმეორებითი კურსი, 2 კვირის შუალედით. მეორე კურსის შემდეგ პაციენტებს მოეხსნათ ტკივილები და ულტრასონოგრაფიული სიმპტომები, აღდგენილ იქნა მხრის სახსრის და მიმდებარე ქსოვილების სტრუქტურები. ერთი პაციენტის შემთხვევაში (6.25%) რეაბილიტაციის აღნიშნული კომპლექსი ნაკლებ ეფექტური იყო, რაც, ჩვენი აზრით, უკავშირდება პაციენტის თანმხლებ დაავადებას - შაქრიან დიაბეტს.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილ იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული ფიზიკური რეაბილიტაციის ალგორითმის მაღალი სამკურნალო ეფექტი. ალგორითმი ეფუძნება ფიზიკური მეთოდების კომპლექსურ ზემოქმედებას. იგი მოიცავს მხრის სახსარზე გამწოვი, ანტიანთებითი და ქონდროპროტექტორული ნივთიერებებისა და ფიზიკური ვარჯიშების თანმიმდევრულ გამოყენებას.

**საკვანძო სიტყვები:** იმპინჯემენტ-სინდრომი. წანაზარდი, კლინიკური სურათი, ოსტეოფიტები

### ლიტერატურა

1. Альриманович М.Х., Ломтатидзе Е.Ш., Поцелуйко С.В., Ломтатидзе В.Е., Круглов М.И., Грошев Ю.В., Волченко Д.В., Клименко А.М. Лечение заболеваний плечевого сустава консервативными способами //Журнал травматологии и ортопедии России.- 2006. Ч. 1.- №2(40).- С.20
2. Макаревич Е.Р., Белецкий А.В. Лечение повреждений вращательной манжеты плеча. - Минск: БГУ, 2001. – 163с.
3. Bartsch S., Echtermeyer V., Praxisbuch S. Verletzungen und Erkrankungen systematisch diagnostizieren, therapieren, begutachten // Georg Thieme Verlag.- 2004.
4. Burkhart S. Reconciling the paradox of rotator cuff repair versus debridement: a unified biomechanical rationale for the treatment of rotator cuff tears // Arthroscopy. – 1994.-Vol.10.-№1.- P.4-19.
5. Burkhart S. Articular arc length mismatch as a cause of failed bankart repair // Arthroscopy.- 2000. - Vol. 1. - №7. - P. 740-744.
6. Burkhart S. A cowboy's guide to advanced shoulder arthroscopy. - Philadelphia: Lippincott, Williams & Wilkins, 2006. 316p.
7. Burkhart S. Arthroscopic repair of massive rotator cuff tears with stage 3 and 4 fatty degeneration // Arthroscopy. - 2007. - Vol 23. - №4. - P. 347-354.
8. Davidson J. The geometric classification of rotator cuff tears: a system linking tear pattern to treatment and prognosis // Arthroscopy. - 2010. - Vol. 26. - №3. - P. 417-424.
9. Rees J.D., Wilson A.M., Wolman R.L. Current concepts in the management of tendon disorders. // Rheumatology (Oxford).- 2006. - № 45(5). - P. 508-521.
10. Scott A., Ashe M.C. Common tendinopathies in the upper and lower extremities//Curr. Sports Med. Rep. - 2006. - №5 (5). - P. 233–241.
11. Snyder S.J. Diagnostic arthroscopy of the shoulder. Normal anatomy and variations // Shoulder arthroscopy. - Philadelphia: Lippincott, Williams & Wilkins, 2003. - P. 22-38.
12. Speed C.A. Fortnightly review: Corticosteroid injections in tendon lesions//BMJ. - 2001. - Vol. 18. - №323 (7309). - P. 382-386.
13. Wilson J.J., Best T.M. Common overuse tendon problems: A review and recommendations for treatment//Am. Fam Physician. - 2005.- Vol. 1. - № 72. -(P. 811–818).

**შპს (UDC) 616-003.93**

**ჯ-224**

**მხრის იმპინჯმენტ-სინდრომის ფიზიკური რეაბილიტაციის ალგორითმი**

იოსებ ჯანკარაშვილი, მანანა რუხაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი; კლინიკა “მედსი”

თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

**შრომის მიზანია** კომპლექსური ფიზიკური რეაბილიტაციის მეთოდების ალგორითმის ეფექტურობის დადგენა მხრის იმპინჯმენტ-სინდრომის დროს.

დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ორივე სქესის 16 პაციენტი 59-71 წლის ასაკში, რომლებსაც ჩატარდათ კლინიკური გამოკვლევები, მხრის სახსრის ულტრასონოგრაფია რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ და მხრის სახსრის რენტგენოგრაფია. სარეაბილიტაციოდ გამოყენებულ იქნა ფიზიკური მეთოდები შემდეგი ალგორითმით: ელექტროფორეზი პროტეოლიზურ ფერმენტ კარიპაზიმით - 20-25 პროცედურა, ელექტროფორეზის მე-7-8 პროცედურიდან - ფონოფორეზი ვოლტარენით და ქონდროქსიდით - 10-15 პროცედურა, ფონოფორეზის 7-8 პროცედურიდან - სპეციალური ვარჯიშები. აღნიშნული სარეაბილიტაციო კომპლექსის ჩატარების შემდეგ 13 პაციენტში მიღებულ იქნა დადებითი სარეაბილიტაციო ეფექტი პირველივე კურსის შემდეგ. 2 შემთხვევაში ჩატარდა განმეორებითი კურსი. ერთ შემთხვევაში აღინიშნა სუსტი დადებითი შედეგი.

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგენილ იქნა ჩვენ მიერ შემუშავებული ფიზიკური რეაბილიტაციის ალგორითმის მაღალი სამკურნალო ეფექტი. ალგორითმი ეფუძნება ფიზიკური მეთოდების კომპლექსურ ზემოქმედებას. იგი მოიცავს მხრის სახსარზე გამწოვი, ანტიანთებითი და ქონდროპროტექტორი ნივთიერებებისა და ფიზიკური ვარჯიშების თანმიმდევრულ გამოყენებას.

УДК (UDC) 616-003.93

Д-40

## АЛГОРИТМ ФИЗИЧЕСКОЙ РЕАБИЛИТАЦИИ У ПАЦИЕНТОВ С ИМПИНДЖМЕНТ-СИНДРОМОМ ПЛЕЧЕВОГО СУСТАВА

Джанкарашвили И.Р., Рухадзе М.М.

Тбилисский государственный медицинский университет; клиника «Медси»

Тбилиси. Грузия

### Резюме

Целью работы являлось установить эффективность физической реабилитации у пациентов с импинджмент-синдромом плечевого сустава.

Под наблюдением находились 16 пациентов обоих полов в возрасте 59-71 лет. Были проведены клинические и ультрасонографические исследования до и после реабилитации, а также рентгенография плечевого сустава. Применили следующий алгоритм физических методов реабилитации: электрофорез с протеолитическим ферментом карипазимом - 20-25 процедур; с 7-8-ой процедуры электрофореза - фонофорез с вольтареном и хондроксидом – 10-15 процедур; с 7-8 процедуры фонофореза - специальные упражнения для укрепления мышц плечевого пояса. В результате проведенного реабилитационного комплекса положительный эффект был достигнут в 13 случаях после первого курса. В двух случаях возникла необходимость проведения второго курса реабилитации. В одном случае получен слабый положительный реабилитационный эффект.

Таким образом, на основании проведенного исследования, был установлен высокий эффект разработанного нами алгоритма физической реабилитации. Алгоритм основан на комплексном воздействии физических методов. Комплекс включает последовательное применение средств рассасывающего, противовоспалительного и хондропротекторного действия и укрепление мышц плечевого сустава.

**UDC 616-003.93**

**J-23**

**ALGORITHM OF PHYSICAL REHABILITATION IN PATIENTS  
WITH SHOULDER IMPINGEMENT SYNDROME**

Ioseb R. Jankarashvili, Manana M. Rukhadze

Tbilisi State Medical University; Clinic “Medsi”, Tbilisi, Georgia

**Summary**

The aim of this work was to establish the effectiveness of algorithm of methods of complex physical rehabilitation in patients with shoulder impingement syndrome.

Total of 16 patients of both genders in age of 59-71 years were under the observation. Clinical examinations and diagnostic ultrasonography of shoulder joint before and after rehabilitation and X-Ray investigation were held. The following algorithm of physical methods of rehabilitation was applied: electrophoresis with proteolytic enzyme karipazim - 20-25 procedures; from the 7-8 procedures of electrophoresis - phonophoresis with voltaren (diclofenac sodium) and chondroxide - 10-15 procedures; from the 7-8 procedures of phonophoresis special exercises for shoulder muscles were added. After carrying out the specified rehabilitation complex a positive rehabilitation effect after first course was obtained in 13 patients. In two cases it was necessary to carry out the second course of rehabilitation. In one case slightly positive effect of rehabilitation was reached.

Thus, on the basis of carried out research high therapeutic effect of algorithm of physical rehabilitation developed by us was established. Algorithm is based on the complex impact of physical methods. It includes consecutive application of resorptional, anti-inflammatory, chondral protecting and shoulder muscles enhancing impacts.

**აზნაზეთიდან იმულებით აღზინაგვალ გავშვთა**

**ჯანმრთელობის მდგომარეობა**

გიორგი ჩახუნაშვილი, ნინო მანჯავიძე, ირმა მანჯავიძე,

გურამ ჩიტაია, მზია წიკლაური

თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, თსსუ-ს პედიატრიის დეპარტამენტი  
თბილისი, საქართველო

ბავშვის ჯანმრთელობის მანვენებლების გადახრას იწვევს მხოლოდ ის ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია ჯანმრთელობის მდგომარეობის შეცვლა და მისი კომპენსატორული შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული დათრგუნვა. შესაბამისად, ასეთი ფაქტორების დადგენა, მათი გრადაცია უარყოფითი ზემოქმედების სიმძიმის მიხედვით, საშუალებას მოგცემს სწორად დავეგემოთ და წარვმართოთ სარეაბილიტაციო ღონისძიებები.

პროფილაქტიკური ღონისძიებების ეფექტურად ჩატარების მიზნით მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორ აისახება გარემო და ცხოვრების „შეცვლილი“ პირობები ბავშვის ჯანმრთელობის ძირითად პარამეტრებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ძვრების ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა, გამოვლინდება ბავშვთა და მოზარდთა პოპულაციაზე, როგორც მოსახლეობის ყველაზე მგრძობიარე და ლაბილურ კონტინგენტზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკანასკნელ წლებში მეცნიერთა ყურადღება ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე მოქმედ იმ მასობრივ სოციალურ სტრესებზე გამახვილდა, რომელთა მიზეზი უკავშირდება ან ბუნების მნიშვნელოვან კატაკლიზმებს, ან შიდასახელმწიფოებრივ კონფლიქტებს. ორივე შემთხვევაში გარდაუვალია როგორც ფსიქოგენური, ისე ფიზიკური სტრესული ზეგავლენა დიდ პოპულაციაზე, რაც უმეტეს შემთხვევაში წარუშლელი პროლონგირებული ზემოქმედებით გამოირჩევა.


ამ მიმართულებით ჩატარებულმა უკვე აღიარებულმა გამოკვლევამ როგორც I და II მსოფლიო ომების შემდეგ, ისე საომარი მოქმედებების შემდეგ საბერძნეთში, ამერიკის ქვეყნებში, ფინეთში, შვედეთში და სხვაგან აჩვენა, რომ ბავშვები, რომლებმაც გადაიტანეს აღნიშნული სტრესული სიტუაციები, გამოირჩევიან ჯანმრთელობის მდგომარეობის მანვენებლის მნიშვნელოვანი გადახრებით, განსაკუთრებით ფსიქო-ემოციური და ნევრალგიური დარღვევებით. აქედან

გამომდინარე, აშკარაა საქართველოში პრობლემის აქტუალობა და მისი შესწავლის მნიშვნელობა არა მარტო სამედიცინო, არამედ სოციალურ ასპექტში.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა აფხაზეთში მომხდარი საომარი კონფლიქტის შემდეგ, ამ რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ 6-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვთა ფიზიკური განვითარების და ჯანმრეტელობის მდგომარეობის შესწავლა.

კვლევა ჩაუტარეთ აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ 6-დან 15 წლამდე ასაკის 800 ბავშვს, რომლებიც განთავსებულნი იყვნენ ქ. თბილისში დაბა წყნეთში. საკონტროლო ჯგუფად ავიყვანეთ ქ. თბილისში და დ. წყნეთში მუდმივად მცხოვრები ამავე ასაკის 800 ბავშვი. საკონტროლო ჯგუფში შევიყვანეთ ანალოგიური მონაცემების (ასაკის, სქესის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით) მქონე ბავშვები.


როგორც ძირითად, ისე საკონტროლო ჯგუფში შევისწავლეთ ბავშვების კონსტიტუციურ-მემკვიდრული მაჩვენებლები, ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, ფიზიკურ-ფსიქიკური სტრესული ფაქტორი, ევაკუაციის პირობების სიმძიმე და სხვ. ამ მიზნით შევადგინეთ სათანადო კითხვარი, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი.



გამოკვლევის შედეგები: 800 ბავშვიდან 348-ს აღენიშნა სხვადასხვა სახის დარღვევები როგორც სომატურ, ისე ფსიქიკურ სფეროში. ამ ბავშვებმა გამოკვლეულების 43.5% შეადგინეს. ფსიქო-სომატური დარღვევების მქონე ბავშვებს

ასევე ხშირად ჰქონდათ ფსიქო-ემოციური და ნევროლოგიური დარღვევები. ამ ბავშვების უმარაველესობა შეესწრო საომარ მოქმედებებს, რამდენიმე კი უშუალოდ მონაწილეობდა საბრძოლო ოპერაციებში (4.5%). ყველაზე ხშირი აღმოჩნდა ღამის შიშები, ძილის დარღვევა და სხვა ფობიები (65.0%). საომარი მოქმედებების შემსწრე ბავშვების 6.4% განუვითარდა ლოგონევროზი.

საკონტროლო ჯგუფის ბავშვებში ღამის შიშებმა, ფობიებმა და ლოგონევროზებმა ყურადღება არ მიიპყრო. ბავშვთა 43.0%-ს გამოხატული ჰქონდა აგრესიულობა, რომელიც განვითარდა საომარი კონფლიქტის შემდეგ. აგრესიულობა გამოვლინდა არამოტივირებული კონფლიქტებით, რასაც თან ახლდა სათამაშოების, საოჯახო ნივთების მტკრევა, 9.0% შემჩნეული იყო ცხოველების წვალებაში. საკონტროლო ბავშვების 4%-ის აგრესიულობა გამოიხატა მხოლოდ არამოტივირებული კონფლიქტებით.



ადგილნაცვალ ბავშვთა 5.62%-ს აღენიშნებოდა ღამის ენურეზი, აქედან 3.75-ს აღნიშნული პათოლოგია განუვითარდა კონფლიქტის შემდეგ. საკონტროლო ჯგუფში ღამის ენურეზი დაუდგინდა 18 ბავშვს (2.25%), სხვაობა აღნიშნულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა.

ნერვული სისტემის პათოლოგიებიდან ყურადღება მიიპყრო ეპილევსიის 12-მა შემთხვევამ (1.95%), აქედან 4 ბავშვს (0.5%) ეს დაავადება ჰქონდა კონფლიქტამდე, 8-ს (1.0%) განუვითარდა კონფლიქტის შემდეგ. 11 (1.37%) ბავშვს აღენიშნა ჰიპერკინეზია

- მათგან 6-ს (0.75%) განუვითარდა კონფლიქტის შემდეგ. აღნიშნული ნევროლოგიური დარღვევები ძირითადად განუვითარდათ საომარი კონფლიქტის შემსწრე ბავშვებს.

საკონტროლო ჯგუფში აღინიშნება ეპილექსიის 3 შემთხვევა (0.37%), ჰიპერტენზიის - 5 (0.62). სხვაობა აღნიშნულ ჯგუფებს შორის სტატისტიკურად სარწმუნოა.

ზემოაღნიშნულიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ომით გამოწვეულმა მძიმე ფსიქო-ემოციურმა თუ ფიზიკურმა სტრესმა ძლიერი ნეგატიური ზემოქმედება იქონია აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ ბავშვების ჯანმრთელობაზე. უნდა ითქვას, რომ ჩატარებული კვლევის შედეგები შეესატყვისება ფინეთსა და შვედეთში ლტოლვილი ბავშვების ჯანმრთელობის შესწავლის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვი, ჯანმრთელობა, დარღვევები, აგრესიულობა, შიში.

### **ლიტერატურა**

1. McMaster H. Personal child health record and advice booklet program in Tuzlam Bosnia Herzegovina //Yug. Soc. Med. – 2002. - 90(5). – P. 2010-2012.
2. Sagara T. Studies on the growth of Japanese school pupils alter the World War // J. Naramed. Ass. - 2010. – V. 12. - N2-3.
3. Schumacher L. Growth of immigrant children in the newcomer schools of San Francisco // Pediatrics. - 2013. 80(6). - P. 864-869.
4. Stinivasen P.L., Kahamanaswany A. Social-economic factor in birth weight of babies // Antiseptic. – 2011. - V. 82. – P. 27-30.
5. Sundquist J., Johansson S. The influence of exile and reparation on mental and physic health. A population-based study // Soc. Psychiatry Epidemiol. – 2006. - 30(2). - P. 20-26.
6. Wolansky N. The secular trend: Microevolution, physoiological adaptation and migration and causative factors // 7 VII Intern. Congr., Oxford, 2012.

**უპკ (UDC) 616-053.2**

**ა-932**

**აფხაზეთიდან იძულებით ადგილნაცვალ ბავშვთა**

**ჯანმრთელობის მდგომარეობა**

გიორგი ჩახუნაშვილი, ნინო მანჯავიძე, ირმა მანჯავიძე,

გურამ ჩიტაია, მზია წიკლაური

თსსუ-ის კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი; თსსუ-ს პედიატრიის დეპარტამენტი.

თბილისი, საქართველო

**რეზიუმე**

კვლევა ჩატარდა აფხაზეთიდან ადგილნაცვალ 6 - 15 წლის ასაკის 800 ბავშვს.

კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვების 43.5%-ში აღინიშნა სომატური და ფსიქო-ემოციური დარღვევები, რომელიც ძირითადად გამოვლინდა ფსიქო-ემოციური და ფსიქონევროლოგიური დარღვევებით.

**УДК (UDC) 616-053.2**

**C-668**

### **СОСТОЯНИЕ ЗДОРОВЬЯ ДЕТЕЙ, БЕЖЕНЦЕВ ИЗ АБХАЗИИ**

Чахунашвили Г.С., Манджавидзе Н.Г., Манджавидзе И.Т., Читая Г.И., Циклаური М.И.

Центр клинических навыков ТГМУ, Департамент педиатрии ТГМУ

Тбилиси, Грузия

#### **Резюме**

Были осмотрены 800 детей, беженцев из Абхазии, в возрасте от 6 до 15 лет. Обследование показало, что у 43.5% детей наблюдаются соматические и психоэмоциональные расстройства. В то же время, у детей, у которых обнаружена психоэмоциональная дисфункция, в большинстве случаев она манифестировалась психо-неврологическими нарушениями.

**UDC 616-053.2**

**S-81**

### **HEALTH STATE OF REFUGEE CHILDREN FROM ABKHAZIA**

Giorgi S. Chakhunashvili, Nino G. Manjavidze, Irma T. Manjavidze,

Guram I. Chitaia, Mzia I. Tsiklauri

Clinical Skills Center at TSMU, Department of pediatrics of TSMU

Tbilisi, Georgia

#### **Summary**

There was held an investigation of the health status of 6-15 years old 800 refugee children from Abkhazia. This investigation suggested that 43.5 % of the children had somatic and psycho-emotional dysfunctions. Those having psycho-emotional dysfunctions mostly manifested psycho-neurological dysfunctions, too.

УДК (UDC) 616.838(479.22)

C-572

## СОДЕРЖАНИЕ ЛЕГКИХ АЭРО-ИОНОВ В НЕКОТОРЫХ КУРОРТНЫХ И ТУРИСТИЧЕСКИХ ЗОНАХ БОРЖОМИ И ТБИЛИСИ

<sup>1</sup>Амиранашвили А.Г., <sup>1</sup>Амиранашвили В.А., <sup>1</sup>Блиадзе Т.Г. ,

<sup>2</sup>Тархан-Моурави И.Д., <sup>1</sup>Чихладзе В.А.

<sup>1</sup>Институт геофизики им. М. Нодиа Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили; <sup>2</sup>Тбилисский бальнеологический курорт „Тбилисси-SPA” – Национальный научно-практический центр здоровья и медицинской реабилитации.

Тбилиси, Грузия

**Введение.** Содержание легких ионов в атмосфере является индикатором чистоты воздуха и, одновременно, играет существенную роль в формировании физиологического состояния человека. Для оценки курортно-туристических ресурсов Грузии в свете современных требований начаты предварительные исследования ионизационного состояния воздушной среды известных, малоизвестных и перспективных рекреационно-туристических зон Грузии (разные регионы, карстовые пещеры, национальный ботанический сад и др. [2, 3, 6, 7]). Рассматривался вопрос об организации ионотерапии [4] как важной составляющей паспорта курортных и туристических ресурсов Грузии [5]. В продолжение предыдущих исследований ниже приведены результаты измерений концентрации легких аэроионов в некоторых курортных и туристических зонах городов Боржоми и Тбилиси в 2012 г.

**Методика.** Измерения проводились с помощью портативного счетчика легких ионов производства фирмы “AlphaLab, Inc.” США [1, 2, 3, 6, 7]. Введены следующие обозначения: N - суммарная концентрация легких ионов, К.У. - коэффициент униполярности (отношение концентрации положительных ионов к концентрации отрицательных).

**Результаты и их обсуждение.** Результаты работы приведены в таблицах 1 и 2.

Как следует из таблицы 1, суммарная концентрация легких аэроионов в различных местах курорта Боржоми достаточно неоднородна и меняется от 800 см<sup>-3</sup> (парк Боржоми, 8 м от бордюра набережной, 6 м от кафе) до 10450 см<sup>-3</sup> (парк Боржоми, вблизи водопада). Значения К.У. меняются от 0.05 (парк Боржоми, вблизи водопада) до 1.25 (центр двора гостиницы «Моцион»).

Учитывая, что профилактической, гигиенической и лечебной считается концентрация легких ионов от 10<sup>3</sup> до 10<sup>4</sup> в см<sup>3</sup>, соответствующая их содержанию в чистом воздухе [2, 5], в различных местах курорта Боржоми можно найти достаточно много зон для организации

ионотерапии [7]. Особенный интерес для этих целей представляют места вблизи рек и водопадов, где наблюдается существенное превышение содержания, имеющих особо благоприятный терапевтический эффект отрицательных аэроионов над положительными.

Таблица 1

Содержание легких аэроионов в различных местах курорта Боржоми

Дата	N, см <sup>-3</sup>	К.У.	Примечание
26.07	900	1.25	Двор гостиницы «Моцион», центр двора
26.07	1000	0.43	Там же - около фонтана
26.07	1800	0.20	Там же - 0.5 м от фонтана
26.07	1300	0.86	У берега реки Кура, течение спокойное, ул. Месхети 99
26.07	1400	0.75	Там же - течение бурное
26.07	875	0.75	Трасса, ул. Месхети 99, слабый ветер
27.07	2600	1.08	«Мцване монастыри», лес, поляна, 80-100 м от дороги, 150-200 м от монастыря
27.07	2800	0.87	Там же - около ручья, 10 м от дороги
27.07	3100	0.94	Там же - около ручья, 15-20 м ниже первого измерения
27.07	1600	0.60	Парк Боржоми, напротив кафе, над бордюром набережной, 4 м над рекой
27.07	800	0.60	Там же - напротив кафе, 8 м от бордюра набережной, 6 м от кафе
27.07	8050	0.07	Там же - около водопада (высота водопада 120 м)
30.07	1450	0.61	Там же – серные источники, влажно, после дождя, облачн. 8-9
30.07	2375	0.19	Там же – серные источники, влажно, после дождя, около реки Боржомула, под скалой, пузыристость высокая
30.07	1650	0.50	Там же - берег пологий, пузыристость низкая
30.07	1500	0.82	Там же - середина моста реки Боржомула, 3 м над рекой
30.07	1650	0.50	Там же - у реки, пузырчатость высокая, берег отлогий
30.07	1850	0.42	У реки Боржомула, пузыристость высокая, берег отлогий
31.07	10450	0.05	Парк Боржоми, водопад, около водопада, солнечная погода
31.07	2100	0.56	Там же - водопад, 10 м от водопада, у берега реки, буруны
31.07	1700	1.00	Там же – водопад, 10 м от водопада, над парпетом, 5 м от реки
31.07	3050	0.22	Там же - водопад, над парпетом, 6 м от водопада
31.07	1600	0.88	Там же - водопад, около аттракционов, 10 м от парпета
31.07	3450	0.15	Там же - около реки Боржомула, пузырчатость высокая, с двух сторон крутой берег
31.07	2450	0.44	Там же - пологие склоны берегов

В различных местах отдыха г. Тбилиси (таблица 2), суммарная концентрация легких аэроионов меняется от 595 см<sup>-3</sup> (Мамкода, около монастыря) до 4760 см<sup>-3</sup> (парк Ваке, около фонтана). Значения К.У. меняются от 0.06 (парк Ваке, около фонтана) до 1.56 (парк Ваке, около детской железной дороги).

Таблица 2

## Содержание легких аэроионов в различных местах отдыха г. Тбилиси

Дата	N, см <sup>-3</sup>	К.У.	Примечание
25.04	665	1.21	Черепашье озеро, беговая дорожка
25.04	975	0.63	Черепашье озеро, пляж
25.04	1800	0.16	Черепашье озеро, около небольшого фонтана
25.04	805	0.87	Черепашье озеро, автостоянка
25.04	935	0.44	Этнографический музей, около монумента
25.04	730	1.56	Парк Ваке, около детской железной дороги
25.04	4760	0.06	Парк Ваке, около фонтана
1.05	1005	0.26	Мамкода, центр парка
1.05	685	0.28	Мамкода, начало парка
1.05	595	0.49	Мамкода, около монастыря
1.05	1260	0.53	Тбилисское море, пляж
1.05	860	0.35	Тбилисское море, дендропарк
1.05	1005	0.63	Парк "Мзиури"
4.08	1100	1.00	Тбилиси, парк Мтацминда, около детской карусели, облачность
5.08	1550	0.94	Тбилиси, Черепашье озеро, около озера, слабый ветер

Отметим, что 25.04.2012 и 1.05.2012 средняя концентрация ионов на территории термобарокамеры Института геофизики (экологически одно из относительно чистых мест города) составляла 1250 см<sup>-3</sup>, К.У. – 1.1 и 1.3, соответственно. В наиболее загрязненных частях города Тбилиси [1] суммарное содержание ионов составляло: «Площадь героев» - 690 см<sup>-3</sup>, метро «Авлабар» - 740 см<sup>-3</sup>, улица Пекина - 650 см<sup>-3</sup>, Ваке – 660-840 см<sup>-3</sup>, метро «Варкетили» - 775 см<sup>-3</sup>.

Таким образом, кроме территории Национального ботанического сада [7], в различных районах г. Тбилиси также можно найти зоны с повышенной ионизацией воздуха, пригодных для лечебно-профилактических и оздоровительных целей.

**Заключение.** Информация о содержании легких аэроионов в известных и потенциальных курортно-туристических зонах имеет важное значение для увеличения эффективности их лечебных, реабилитационных, оздоровительных и восстановительных свойств. Предварительные исследования показывают, что практически в любом месте Грузии, даже в некоторых районах самого загрязненного города страны Тбилиси, можно найти зоны с повышенной ионизацией воздуха, пригодных для лечебно-профилактических и оздоровительных целей.

**Ключевые слова:** ионотерапия, карстовые пещеры, легкие аэроионы, парк

## ლიტერატურა

1. ამირანაშვილი ა., ბლიაძე თ., ჩიხლაძე ვ. ფოტოქიმიური სმოგი თბილისში // მონოგრაფია. - ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტის შრომები. - თბილისი, - 2012. - ტომი 63. - 160 გვ.
2. ამირანაშვილი ა.გ., ბლიაძე თ.გ., მელიკაძე გ.ი., ტარხან-მოურავი ი.დ., ჩიხლაძე ვ.ა. Содержание легких аэроионов как фактор чистоты воздуха некоторых курортов Грузии //Современные проблемы использования курортных ресурсов. - Труды Международной конференции. - Тбилиси, 2010. - С.145-151.
3. სააკაშვილი ნ.მ., ტაბიძე მ.შ., ტარხან-მოურავი ი.დ., ხელაშვილი ე.ი., ამირანაშვილი ა.გ., კირკიტაძე დ.დ., მელიკაძე გ.ი., ნოდია ა.გ., ტარხნიშვილი ა.გ., ჩიხლაძე ვ.ა., ლომინაძე გ.დ.ჯ., ციკარიშვილი კ.დ., ჩელიძე ლ.ტ. Климатические, аэроионизационные и радиологические характеристики курортно-туристического комплекса г. Цхалтубо//Труды Института гидрометеорологии Грузии, Тбилиси 2008. - Том 115. - С.31-40.
4. სააკაშვილი ნ.მ., ტაბიძე მ.შ., ტარხან-მოურავი ი.დ., ამირანაშვილი ა.გ., მელიკაძე გ.ი., ჩიხლაძე ვ.ა. К вопросу об организации ионотерапии на курортах Грузии // Современные проблемы использования курортных ресурсов. - Труды Международной конференции. - Тбилиси, 2010. - С. 168 -174.
5. სააკაშვილი ნ.მ., ტაბიძე მ.შ., ტარხან-მოურავი ი.დ., ამირანაშვილი ა.გ., მელიკაძე გ.ი., ჩიხლაძე ვ.ა. К вопросу о паспортизации курортных и туристических ресурсов Грузии // Современные проблемы использования курортных ресурсов. - Труды Международной конференции. - Тбилиси, 2010. - С.175-180.
6. Amiranashvili A., Bliadze T., Chankvetadze A., Chikhladze V., Melikadze G., Kirkitadze D., Nikiforov G., Nodia A. Comparative Characteristics of Light Ions Content in the Urban and Ecologically Clean Locality in Georgia // Proceedings of the 14th International Conference on Atmospheric Electricity. - Rio de Janeiro. - Brazil. - August 07-12, 2011. // www.icae2011.net.br.
7. Amiranashvili A., Bliadze T., Chikhladze V., Machaidze Z., Melikadze G., Saakashvili N., Khatiaashvili E., Tarkhan-Mouravi I., Sikharulidze Sh., Nakaidze T., Tavartkiladze M. New Data about the Aeroionization Characteristics of the Territory of National Botanical Garden of Georgia as the Factor of the Expansion of its Sanitation Properties for the Visitors //Journal of the Georgian Geophysic Society. - Tbilisi, 2013. - Issue B. Vol.16.

უპ (UDC) 615.838(479.22)

მ-906

**მსუბუქი აეროიონების შემცველობა ბორჯომის და თბილისის ზოგიერთ**

**საკურორტო და ტურისტულ ზონაში**

<sup>1</sup>ავთანდილ ამირანაშვილი, <sup>1</sup>ვაჟა ამირანაშვილი, <sup>1</sup>თეიმურაზ ბლიაძე,

<sup>2</sup>იორამ თარხან-მოურავი, <sup>1</sup>ვიქტორ ჩიხლაძე

<sup>1</sup>ი. ჯავახიშვილის სახ. თსუ მ. ნოდის გეოფიზიკის ინსტიტუტი;

<sup>2</sup>თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი „თბილისი-SPA“ – ჯანმრთელობისა და

სამედიცინო რეაბილიტაციის ეროვნული სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრი

**რეზიუმე**

სტატიაში წარმოდგენილია 2012 წელს ბორჯომის და თბილისის ზოგიერთ საკურორტო და ტურისტულ ზონაში ჩატარებული მსუბუქი აეროიონების შემცველობის კვლევის შედეგები. კერძოდ, მოყვანილია მონაცემები იონების ჯამური კონცენტრაციის შესახებ ბორჯომ-პარკის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე, მდინარე ბორჯომულას ხეობის ჩათვლით. ნაჩვენებია, რომ მდინარის მახლობლად შესაძლებელია საკმარისად მონახოს ადგილები, რომლებიც გამოსადეგია იონოთერაპიისთვის. მსგავსი სიტუაცია აღინიშნება კურორტ ბორჯომის სხვა ადგილებშიც - ტყე მწვანე მონასტრის მახლობლად, მდინარე მტკვრის ნაპირებზე და ა.შ. თბილისში, ჰაერის მაღალი დაბინძურების მიუხედავად, ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის გარდა, დასვენებისა და რეაბილიტაციისთვის შესაძლოა აგრეთვე სხვა ტერიტორიების მოძიება - მამკოდას პარკი, თბილისის ზღვა, კუს ტბა და სხვ. ნაშრომში შემოთავაზებულია ამ ზონებში აეროიონების შემცველობის უფრო დეტალური შემდგომი გამოკვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ საქართველოს საკურორტო-ტურისტული პოტენციალის ეფექტურობა.

УДК (UDC) 616.838(479.22)

C-572

## СОДЕРЖАНИЕ ЛЕГКИХ АЭРОИОНОВ В НЕКОТОРЫХ КУРОРТНЫХ И ТУРИСТИЧЕСКИХ ЗОНАХ БОРЖОМИ И ТБИЛИСИ

<sup>1</sup>Амиранашвили А.Г., <sup>1</sup>Амиранашвили В.А., <sup>1</sup>Блиадзе Т.Г. ,

<sup>2</sup>Тархан-Моурави И.Д. <sup>1</sup>Чихладзе В.А.

<sup>1</sup>Институт геофизики им. М. Нодиа Тбилисского государственного университета им. И. Джавахишвили; <sup>2</sup>Тбилисский бальнеологический курорт „Тбилисси-SPA” – Национальный научно-практический центр здоровья и медицинской реабилитации

### Резюме

Представлены результаты исследований концентрации легких аэроионов в некоторых курортных и туристических зонах Боржоми и Тбилиси, проведенных в 2012 году. В частности, приведены данные о суммарной концентрации ионов в Боржомском парке и прилегающих к нему территориях, включая ущелье реки Боржомула. Показано, что вблизи реки можно найти достаточно мест, пригодных для ионотерапии. Аналогичная ситуация и для других мест курорта Боржоми - лес вблизи «Мцване монастыри», берег реки Кура и др. В Тбилиси, несмотря на высокую загрязненность воздуха, кроме территории ботанического

сада, также можно найти места, пригодных для отдыха о реабилитации - парк Мамкода, Тбилиское море, Черепашье озеро и др. Предлагается в дальнейшем провести более детальные исследования содержания ионов в воздухе этих зон, что позволит повысить эффективность курортно-туристического потенциала Грузии.

**UDC 615.838(479.22)**

**C-76**

**CONTENT OF LIGHT AEROIONS IN SOME HEALTH RESORT  
AND TOURIST ZONES IN BORJOMI AND TBILISI**

<sup>1</sup>Avtandil G. Amiranashvil, <sup>1</sup>Vazha A. Amiranashvil, <sup>1</sup>Teimuraz G. Bliadze,

<sup>2</sup>Ioram D. Tarkhan-Mouravi, <sup>1</sup>Victor A. Chikhladze,

<sup>1</sup>M. Nodia Institute of Geophysics of I. Javakhishvili Tbilisi State University

<sup>2</sup>Tbilisi Balneological Resort „Tbilisi-SPA” – National Practical and Scientific Center

for Health and Medical Rehabilitation. Tbilisi, Georgia

**Summary**

The results of investigation of light aeroions concentration in some health resort and tourism zones in Borjomi and Tbilisi, carried out in 2012, are presented in this paper. In particular, the data about the summary concentration of the ions in Borjomi park and of the territories adjacent to it, including the gorge of Borjomula river are cited. It is shown that near the river it is possible to find sufficiently places, suitable for the ionotherapy. Analogous situation are for other places of Borjomi Health Resort - the forest near to Mtsvane monastery; the bank of river Mtkvari, etc. In Tbilisi, in spite of the high air pollution, besides the territory of State Botanical Garden, it is also possible to find places, suitable for leisure about the rehabilitation - Mamkoda park, Tbilisi sea, Tortoise lake, etc. It is proposed subsequently to conduct the more detailed analyses of the content of ions in air of these zones, which will make it possible to increase the effectiveness of the health resort-tourist potential of Georgia.

УДК (UDC) 612.82

Б-42

## ВЗАИМОСВЯЗЬ МЕЖДУ АГРЕССИЕЙ И БОЛЬЮ

(Экспериментальное исследование на крысах)

Г.Л. Бекая

Экспериментальный центр биомедицины им. И. Бериташвили, Тбилиси, Грузия

Агрессиология как отдельная наука уже давно сформировалась. Это обусловлено катаклизмами, происходящими за последние нескольких десятков лет в мире, что, со своей стороны, способствовало возникновению многих новых стрессоров, имеющих значительное влияние на поведение человека и животных и, прежде всего, на их эмоциональную сферу. Исследованиями последних лет обнаружено некоторое взаимоотношение между синдромом боли и агрессивным поведением. Во время мутации одного из генов у мышей отмечались нарушения агрессии и ноцицепции [5]. На людях описаны клинические случаи, когда нечувствительность к боли была сопряжена с агрессией [7]. Существуют данные о связи между низкой чувствительностью к боли и стабильной агрессивностью у детей [9]. Результаты наших электрофизиологических экспериментов подтверждают данную концепцию и указывают на существование возможного единого контролирующего центра агрессии и антиноцицепции [1].

По нашему мнению, избыточная ноцицептивная импульсация, возникшая во время агрессии в результате возможного повреждения организма, может препятствовать достижению цели агрессивного поведения. Соответственно, контроль с одного и того же центра агрессивного поведения и ноцицепции считаем полезным механизмом.

Следует отметить, что в клинике часто отмечают страх и боль, что препятствует правильному ведению лечения.

Исходя из вышесказанного, считаем актуальным установление взаимосвязи между агрессией и синдромом боли в эксперименте при изучении эмоционального поведения.

